



სირიაში არსებული დაკავების ბანაკებიდან
ქალებისა და ბავშვების რეპატრიაცია,
რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია:
მიღებული გამოცდილება და შემდგომი ნაბიჯები

REPATRIATION, REINTEGRATION AND REHABILITATION
OF WOMEN AND CHILDREN FROM DETAINMENT
CAMPS IN SYRIA:
LESSONS LEARNT AND WAYS FORWARD

**სირიაში არსებული დაკავების ბანაკებიდან ქალებისა
და ბავშვების რეკაპიტრაცია, რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია:
მიღებული გამოცდილება და შემდგომი ნაბიჯები**

ავტორი: გორდონ ქლაბი



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



პუბლიკაცია მომზადდა, პროექტის - "ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD), ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან GCSD-ის პოზიციას.



როცა ისლამუჰმა სახელმწიფომ (დაეში) ერაყისა და სირიის ტერიტორიებზე კონტროლი დაკარგა, უცხოელი მეზობლების ოჯახები - უმეტესწილად ქალები და ბავშვები - სირიაში განთავსებულ სხვადასხვა ბანაკში, მაგალითად, ალ-ჰოლშიⁱ აღმოჩნდნენ. სირიის ორ უდიდეს ბანაკში ჯერ კიდევ რჩება დაახლოებით 56 000 ადამიანი, რომელთაგან 38 000 უცხო ქვეყნის (28 000 - ერაყის, ხოლო 10 000 - 60 სხვა ქვეყნის) მოქალაქეა.ⁱⁱ ბანაკებში განთავსებულთა ნახევარზე მეტი არასრულწლოვანია; აქედან 80 პროცენტს 12 წლამდე, ხოლო 30 პროცენტს 5 წლამდე ბავშვები შეადგენენ; 7 000-მდე ბავშვი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.ⁱⁱⁱ

საერთაშორისო საზოგადოება სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ დაკავების ბანაკებიდან თავიანთი მოქალაქეების - უპირველეს ყოვლისა ბავშვების - რეპატრიაცია.^{iv} აღნიშნულის საჭიროება განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბავშვები მავნე გარემოში იმყოფებიან და თავისთავად მსხვერპლებს წარმოადგენენ. ბანაკებში დაკავებული ბავშვების ნაწილს ისლამუჰი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ გარემოში არ უცხოვრია, თუმცა ბანაკებში ყოფნა მათთვის შეიძლება ტრავმულ გამოცდილებად იქცეს. დაკავების ბანაკებში არსებული ვითარება წარმოშობს სხვადასხვა მიზეზით ოჯახების დაშლის საფრთხეს, ბავშვთა დაუცველობის, მათ მიმართ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის, ჩაგვრის რისკებს; არ არის ხელმისაწვდომი ძირითადი, მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების მომსახურებები.^v გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნულმა პირობებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ამ ბავშვებზე, გაამწვავოს რადიკალიზაციის რისკი და ხელი შეუშალოს წარმატებულ რეაბილიტაციასა თუ რეინტეგრაციას.^{vi} სავსებით შესაძლებელია, ვივარაუდოთ ექსტრემისტული პროპაგანდის ზემოქმედება იმ მოზარდებზე, რომელთაც ისლამუჰ სახელმწიფოში ცხოვრება მოუწიათ, ასევე, მათი ჩართულობა დანაშაულებრივ ქმედებებში; და, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები პირველ რიგში მსხვერპლებად უნდა განვიხილოთ, არაერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ გონივრული არ იქნება ასეთ შემთხვევებში უსაფრთხოების რისკების უგულებელყოფა.^{vii} ზემოხსენებული პოტენციური სირთულეების მიუხედავად, უფრო მეტი სახელმწიფო აღიარებს, რომ რეპატრიაცია, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საუკეთესო გამოსავალია სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

გრძელვადიანი უსაფრთხოების ინტერესებისა და საკუთარი მოქალაქეებისადმი პასუხისმგებლობის შეგნებით, რამდენიმე სახელმწიფომ დანარჩენებზე ადრე დაიწყო სირიიდან ქალებისა და ბავშვების რეპატრიაცია. ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა პროაქტიურად იმოქმედეს 1 329-ზე მეტი მოქალაქის დაბრუნების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ევროპაში კოსოვომ სამართალწარმოება წარმოიწყო დანაშაულის ჩამდენი პირების წინააღმდეგ და ხელი შეუწყო 121 მოქალაქის რეინტეგრაციას, რაც პროპორციულად ერთ-ერთი ყველაზე

მაღალი მაჩვენებელია მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ერაყმა გააცნობიერა, რომ მისივე უსაფრთხოების ინტერესებში შედიოდა მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნება და არა მათი დატოვება დაკავების ბანაკებში; ამრიგად, ქვეყანამ ხელი შეუწყო თავად ერაყსა და სირიაში მდებარე ბანაკებიდან *ისღამუხ სახელმწიფოსთან* დაკავშირებული ოჯახების დაბრუნებას; ალ-ჰოლის ბანაკიდან ერაყმა 3 749 მოქალაქის რეპატრიაცია უზრუნველყო. როგორც წესი, დასავლური სახელმწიფოები (კოსოვოს გარდა) რეპატრიაციას უფრო ეწინააღმდეგებიან ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, მოქალაქეობის ჩამორთმევა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ბევრმა დასავლურმა სახელმწიფომ აღიარა რეპატრიაციის ხელშეწყობის აუცილებლობა; მათ შორის, აშშ პირველი აღმოჩნდა, რომელმაც ეტაპობრივი ნაბიჯები^{viii} გადადგა მოქალაქეების რეპატრიაციის მიმართულებით და მას მიბაძეს საფრანგეთმა,^{ix} გერმანიამ,^x ნიდერლანდებმა,^{xi} ნორვეგიამ,^{xii} ესპანეთმა^{xiii} და გაერთიანებულმა სამეფომაც კი^{xiv}.

რადგან სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ მოქალაქეების, განსაკუთრებით კი - ბავშვების, რეპატრიაციის ხელშეწყობა მათივე გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა რეპატრიაციის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების დახვეწა-გაუმჯობესებას. წინამდებარე ანგარიშში აღწერილია რეპატრიაციის ხელშეწყობის საუკეთესო პრაქტიკა და მოცემულია რამდენიმე მონინავე ინიციატივის ამსახველი შემთხვევის დეტალური ანალიზი. შემდეგ ანგარიში ყურადღებას ამახვილებს საქართველოზე და მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ალ-ჰოლში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების რეპატრიაციის პროგრამისთვის.



ამ ნაწილში წარმოდგენილია ერაყიდან და სირიიდან მოქალაქეთა რეპატრიაცი-რეინტეგრაციის საერთაშორისო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები. უფრო ფართო კონტექსტში საკითხავია, გადანაცვებს თუ არა სხვადასხვა სახელმწიფო რეპატრიაციის პროცესში მონაწილეობას. როგორც წესი, სახელმწიფო პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების არგუმენტები არამყარია და რეაგირებას აჭიანურებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, სულ უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს მხარს რეპატრიაციას. წარმატებული რეპატრიაცი-რეინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტია ცვლილების თეორიაზე დაყრდნობით შემუშავებული ჰოლისტური სახელმწიფო გეგმის არსებობა და ცენტრალურ თუ ადგილობ-რივ ორგანოებში, თემებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში მულტიდისციპლინური გუნდების მხარდაჭერა. რეპატრიანტების დაბრუნების ეტაპზე უაღრესად მნიშვნე-ლოვანია მოქალაქეთა ხელახალი ტრავმირების არიდება, ჯანდაცვის მომსახურებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, სათანადო დოკუმენტაციის მომზადება. რეინტეგრაციის საუკეთესო პრაქტიკის თითოეული მაგალითი განსხვავებულია, თუმცა ყველა გამოკვეთს გრძელვადიანი მიდგომის, ადგილობრივი პრაქტიკოსების ხელშე-წყობისა და სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებით თემის მხარდაჭერის მოპოვების აუცილებლობას. რაც მთავარია, საუკეთესო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აუცილებელია რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის ყველა ეტაპზე გენდერული განსხვავებებისა და ბავშვების საჭიროებების გათვალისწინება.



უნდა შეუწყოს თუ არა სახელმწიფო ხელი ჩაკაპიტალიზაციას?

ქვეყნების უმრავლესობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ერიდება მოქალაქეების რეპატრიაციისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას; მეტიც, ზოგ შემთხვევაში აქტიურად უწინააღმდეგებოდნენ კიდევ რეპატრიაციას.^{xv} ერთი მხრივ, აღნიშნულს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებები განაპირობებს, თუმცა ამ გამართლებას აქარწყლებს ის ფაქტი, რომ რეპატრიაციას ემხრობიან უსაფრთხოების უფრო მაღალი რისკების წინაშე მდგარი ქვეყნები. ინგრემისა და მისი რამდენიმე კოლეგის კვლევამ გამოავლინა ოთხი ასპექტი, რომლებითაც შეიძლება აიხსნას სახელმწიფოთა ამგვარად განსხვავებული მიდგომები:^{xvi}

- 01 პრობლემის მასშტაბი – სახელმწიფოს რეაგირებას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორის კომბინაცია: რეპატრიანტების რაოდენობა, [კონფლიქტის ზონის] გეოგრაფიული სიახლოვე, გადაადგილების სიმარტივე და კონფლიქტის ზონაზე წვდომის, მეთვალყურეობისა და კონტროლის შესაძლებლობა. იმ შემთხვევებში, როდესაც რეპატრიანტები მარტივად ახერხებენ სამშობლოში დაბრუნებას, სახელმწიფოს, როგორც წესი, ურჩევნია, პროაქტიურად იმოქმედოს და, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც გააკონტროლოს ეს პროცესი.
- 02 სამართლებრივი საფუძველი – ზოგჯერ სახელმწიფოს რეპატრიაციისათვის თავის არიდების საშუალებას აძლევს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივი და პოლიტიკური ნების არარსებობა, ასევე, იმგვარი კანონები და სამართლებრივი პრეცედენტები, რომლებიც მოქალაქეობის ჩამორთმევას უშვებს.
- 03 ინსტიტუტების ფორმირების ინსტრუმენტად გამოყენება – ზოგჯერ სახელმწიფო მოქალაქეების რეპატრიაციას იწყებს ლეგიტიმურობისა და საერთაშორისო ნორმებისადმი ერთგულების დემონსტრირების მიზნით. კოსოვოსა და ერაყის მსგავს სუსტ სახელმწიფოებს ასეთ ნაბიჯს, როგორც წესი, საკუთარი სისუსტე ან საერთაშორისო საზოგადოებისთვის ლეგიტიმურობის დამტკიცების სურვილი აიძულებს; ხოლო შედარებით ძლიერი სახელმწიფოები, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რეპატრიაციას ხელს უწყობს სხვა სახელმწიფოებზე საერთაშორისო ზეწოლის მოსახდენად. თუმცა, რეპატრიაციისთვის თითქმის არაფერი კეთდება ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობასა და ავსტრალი-აში, რასაც, ნაწილობრივ, საზოგადოების მხარდაჭერის არარსებობა განაპირობებს.
- 04 პროგრამის სტრატეგია – რეპატრიაციის ან/და რეინტეგრაციის ან სხვა სექტორებში ეკვივალენტური პროგრამების არსებობამ შესაძლოა იმოქმედოს რეპატრიაციის პროცესის მართვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე.^{xvii}

რეპატრიაციის პოლიტიკაში არსებული მიდგომების განსხვავებულობას სტენჯერი ხსნის გენდერულად და რასობრივად მიკერძოებული (რასიალიზებული) ე. წ. „საფრთხის ნარატივების“ მრავალფეროვანი სოციალური კონსტრუქციების გავლენით, რადგან, მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნები უფრო მეტად არიან მოქალაქეთა რეპატრიაციის წინააღმდეგი, ვიდრე - სამხრეთის.^{xviii} სტენჯერის თანახმად, თითქმის არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ უსაფრთხოების რისკები, საერთაშორისო თანამშრომლობა თუ კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვა განაპირობებდეს მიდგომათა ამგვარად ფართო სხვადასხვაობას. მართლაც, ბავშვების რეპატრიაციის სურვილს ხშირად განაპირობებს რეპუტაციის ამაღლების სურვილი, რითაც სახელმწიფო აჩვენებს ადამიანის უფლებების დაცვისადმი ერთგულებას. 1991 წელს შექმნილი შედარებით ახალგაზრდა სახელმწიფოებიც უფრო მეტად ემხრობიან რეპატრიაციის პოლიტიკას, რაც შეიძლება აიხსნას ეროვნული თვითმყოფადობის გამოკვეთის საჭიროებით, რეპატრიაცია კი იდენტობის წარმოჩენის, გამყარებისა და დამტკიცების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, სტენჯერი აღნიშნავს, რომ მიდგომებს შორის არსებული რეგიონული მსგავსებები შესაძლოა მეტყველებდეს ქვეყნებს შორის ურთიერთსწავლის პრაქტიკაზე; ამასთან, რეპატრიაციის უპირობო პოლიტიკა სწორედ მუსულმანურ ქვეყნებს აქვთ, ქრისტიანულ ქვეყნებში კი ისლამოფობიის ელემენტებმა შეიძლება გავლენა იქონიოს რეპატრიაციის პოლიტიკაზე. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ნარატივიც, კერძოდ: უპირობო რეპატრიაციის პოლიტიკის მქონე სახელმწიფოები უცხოელ მებრძოლებსა და მათთან დაკავშირებულ ქალებსა და ბავშვებს მსხვერპლებად, ხოლო რეპატრიაციის მოწინააღმდეგე ქვეყნები - რასიალიზებულ ბოროტმოქმედებად და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საშიშ პირებად წარმოაჩენენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეპატრიანტებს რიყავენ მედიასაშუალებები და პოლიტიკოსები, რომლებიც ხაზს უსვამენ მათ წარმოშობას და არა მოქალაქეობას, რითაც ეჭვქვეშ აყენებენ სახელმწიფოსადმი მათ მიკუთვნებულობას.^{xix}

სახელმწიფოთა ტიპებისა და მათი რეაგირების ფორმების აშკარა სხვადასხვაობის მიუხედავად, სულ უფრო მეტი დასავლური სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეების რეპატრიაციას, რაც მოწმობს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებს შესაბამისი პოლიტიკის დაგვიანებით შემუშავებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქეების რეპატრიაციაზე უარის გასამართლებლად მოძიებული გამონაკლისები ზედაპირული ან მწირია. რეპატრიაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს გრძელვადიან ინტერესებში შედის.



ამჟამად არსებული საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს ჰოლისტურად შემუშავებულ და სტრატეგიულად განხორციელებულ რეპატრიაციის პროგრამებს.^{xx} ბევრმა სახელმწიფომ გამოიყენა ad hoc (საგანგებოდ შემუშავებული) მიდგომები, თუმცა ისინი შეიძლება არაეფექტური და კონტრპროდუქტული აღმოჩნდეს, ვინაიდან აუცილებელია რეპატრიაციის პროცესის მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და ერთმანეთთან დაკავშირება, რათა განისაზღვროს მათი ფუნქციები, კომუნიკაციის მექანიზმები და ამოცანები.^{xxi} სამშობლოში დაბრუნების სტრატეგიულად მართული გეგმის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სიტუაციების მართვასა და რისკების შეფასებაზე მორგებული პროაქტიური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკოსებს შორის მოქმედებათა კოორდინაციას, ტრავმის შესაბამისი დახმარების აღმოჩენას და სტრატეგიული კომუნიკაციის ინტეგრირებას, რამაც შესაძლოა ასევე ხელი შეუწყოს სტიგმატიზაციის საკითხის გადაჭრას.^{xxii} მიდგომა უნდა იყოს პროაქტიური და დაინერგოს რეპატრიაციამდე: შემუშავებული უნდა იყოს მიღების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესები; ადრეულ ეტაპებზე უნდა მოხდეს ინტერვენციის განმახორციელებელი პირების იდენტიფიცირება და რეინტეგრაციის პირობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.^{xxiii} გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შემუშავებული სტრატეგია ეყრდნობოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს და ისეთი ადგილობრივი სტრუქტურებისა და სისტემების გამოყენებას, როგორებიცაა: პოლიცია, განათლებისა და ბავშვთა დაცვის სერვისები. რეპატრიატ ბავშვებთან დაკავშირებული რეაგირება უფრო ეფექტური იქნება, თუ დაეყრდნობა დანაშაულის პრევენციისა და რეაბილიტაციის სტრუქტურებს და არა ამ ბავშვების არასრულწლოვან მოძალადე ექსტრემისტებად იდენტიფიცირებას.^{xxiv} სადაც შესაძლებელია, პროგრამამ უნდა გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა რისკების შეფასების მექანიზმები და ფსიქიატრიისა და სოციალური მუშაკების ქსელები.^{xxv}

ღაზაჩადებუღზე (მსხვეჩჰკღზე) ოხიენგიხებული მიღგომა

პროგრამის შემუშავება უნდა წარიმართოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რამდენიმე პრინციპის მიხედვით: პირველ რიგში, პროგრამა უნდა იყოს ორიენტირებული დაზარალებულზე და არა გაძლიერებულ უსაფრთხოებაზე. სირიის ბანაკებიდან ქალებისა და ბავშვების რეპატრიაციის კონტექსტში უსაფრთხოებაზე ფოკუსი კონტრპროდუქტიულია: „ნელი მოქმედების ნაღმის“ არგუმენტი მტკიცებულებებით გამყარებული არ არის და შეიძლება, წარმოშვას სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის რისკები, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრის ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეინტეგრაციის ძალისხმევის ეფექტურობას.^{xxvi} [რეპატრიაციისადმი] საზოგადოების კეთილგანწყობის გაზრდის მიზნით შემუშავებულ კომუნიკაციის სტრატეგიას ხშირად ელოდება თავად მთავრობის წინა ნარატივი, რომელიც ასეთ ადამიანებს საფრთხედ და ბოროტ-მოქმედებად წარმოაჩენდა. თუმცა, უნდა დავაკონკრეტოთ, რომ უსაფრთხოებაზე ორიენ-

ტირებული მიდგომის არიდება მაინც არ გამოორიცხავს პროგრამაში უსაფრთხოების სამსახურების აქტიურ მონაწილეობას სხვა სექტორებთან თანამშრომლობით და, საჭიროებისამებრ, რეპატრიანტების საქმეთა გამოძიებას ან მათ სისხლისსამართლებრივ დევნას.^{xxvii} დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომის ფარგლებში უნდა განხორციელდეს რეპატრიანტი ბავშვების მხარდაჭერა, რომლებსაც შესაძლოა სხვადასხვაგვარი ზიანის, მძიმე ტრავმებისა და სტრესის გადატანა მოუხდათ კონფლიქტის ზონასა თუ ბანაკებში ყოფნის პერიოდში ან ხელახალი ტრავმა მიიღეს არასათანადოდ მართული რეპატრიაციის პროცესში.^{xxviii} რეპატრიაციის ყველაზე წარმატებულ შემთხვევებში ცალსახად გამოყენებული იყო დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომა, რაც დეტალურადაა აღწერილი ქვემოთ მოცემული შემთხვევების ანალიზში.

გენდერული და ასაკობრივი ფაქტორების გათვალისწინება

პროგრამის გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერულ და ასაკობრივ განსხვავებებთან დაკავშირებული პრინციპების ერთობლიობა, რაც ნაწილობრივ ეფუძნება დაზარალებულზე ორიენტირებულ მიდგომას. რეინტეგრაციისას რეპატრიანტი ქალები შესაძლოა აღმოჩნდნენ გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების წინაშე, რაც მოიცავს: ოჯახის მთავარი მარჩენალის სტატუსს ან სწავლებისა და დასაქმების შეზღუდულ არეალს. აქედან გამომდინარე, საუკეთესო პრაქტიკად ითვლება სამშობლოში დაბრუნებული ქალების გაძლიერება მათივე ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.^{xxix} გენდერულმა ასპექტებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს რეაბილიტაციის ხელშეწყობაზეც: ერთ-ერთმა პროგრამამ რეპატრიანტებს ქალ და მამაკაც კონსულტანტებს შორის არჩევანის გაკეთების საშუალება მისცა, რამაც კლიენტების პოზიტიური შეფასება დაიმსახურა.^{xxx} იმ რეპატრიანტებთან მუშაობისას, რომლებზეც ძლიერად ზემოქმედებს გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილება, რეინტეგრაცია შეიძლება მნიშვნელოვნად გამარტივდეს მათივე კულტურული მოლოდინების შესაბამისი წრის და თემური სტრუქტურების (როგორცაა: სარწმუნოებრივი / რელიგიური ორგანიზაცია) ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ გენდერულ ასპექტებთან ერთად პრაქტიკოსებმა ასევე ყურადღება გაამახვილონ სპეციფიკურ ასაკობრივ ასპექტებზეც: შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების გონებრივი და ფიზიკური განვითარება განსხვავდება უფროსებისგან; გენდერული როლების შესახებ მკაცრი წარმოდგენები ბავშვებზე სხვადასხვანაირად ზემოქმედებს და შეიძლება გაუჭირდეთ აღნიშნულთან ადაპტირება; ამასთან, ბავშვები შესაძლოა განიცდიდნენ ტრავმისა და იდენტობის კრიზისის სხვადასხვა ფორმას.^{xxxi} ასევე, მათ ყოველთვის არ აქვთ რადიკალიზაციამდელი იდენტობა და, ამრიგად, ესაჭიროებათ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და გრძელვადიანი მხარდაჭერა ახალი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.^{xxxii}

მესამე და მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს პროგრამის სტრატეგიაში, შემდეგია: რეპატრიანტთა მხარდაჭერა უნდა იყოს ინდივიდზე მორგებული და მდგრადი. საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად სწორედ ეს მიდგომა სახელდება საუკეთესო პრაქტიკად, რადგან არ არსებობს ერთი უნივერსალური გამოსავალი: ნაკლებ სავარაუდოა, რომ ზოგადი ხასიათის რეაგირება წარმატებით გაუმკლავდება რეპატრიანტთა საჭიროებებს. მეტიც, ასეთი მიდგომა შეიძლება საზიანოც კი იყოს კონკრეტულად ბავშვებთან მიმართებით.^{xxxiii} როგორც ზრდასრულ ადამიანებს, ისე ბავშვებსაც ესაჭიროებათ მათზე ინდივიდუალურად მორგებული, ცალკეული რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება და იმართება ტრავმასთან დაკავშირებული სიმპტომები მდგრადი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მეთოდებით; ზრუნვის შეფასებაც ცალკეული ადამიანის საჭიროებებს უნდა მოერგოს, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ შემთხვევაში წარმატებაც განსხვავებული იქნება.^{xxxiv} ბავშვების რეინტეგრაციის გრძელვადიანი შედეგი დიდწილად დამოკიდებული იქნება პროგრამის მდგრადობასა და რესურსებზე, რადგან, როგორც წესი, ბავშვებს გრძელვადიანი მხარდაჭერა ესაჭიროებათ მიღებული უარყოფითი გამოცდილებისა და ტრავმის გადასალახად – შეზღუდული ბიუჯეტი და გრძელვადიანი დაფინანსების არარსებობა კი მნიშვნელოვნად აფერხებს პროგრამების ეფექტურობას.^{xxxv} შედეგად, შემთხვევის მმართველებს, პრაქტიკოსებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მოუწევთ გრძელვადიანი ვალდებულებების აღება; სასარგებლო პრაქტიკაა სამშობლოში დაბრუნებული ბავშვებისთვის მისაბაძი მაგალითის სახით ინსტრუქტორის („ქოუჩის“) ან ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტის დანიშვნა, რაც ხელს უწყობს ბავშვის კეთილდღეობის მეთვალყურეობას; თუმცა, ზოგადად, გრძელვადიანი დახმარების, მათ შორის, სამშობლოში დაბრუნებული ყველა პირის (ბავშვების ჩათვლით) ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, მომსახურების უზრუნველყოფისათვის მთავრობას დასჭირდება ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება.^{xxxvi}



რეკონსტრუქციის პროგრამის კოორდინაცია, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. იდენტიფიცირებულია მისი კოორდინაციისა და მართვის რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და საყოველთაოდ აღიარებულია რეკონსტრუქციის დაგეგმვა-განხორციელებისას მრავალუნ-ყებრივი მიდგომის გამოყენების აუცილებლობა. მრავალუნყებრივი მიდგომა უნდა მოიცავდეს პროცესში ჩართულ უწყებათა შორის მჭიდრო და უწყვეტ კოორდინაციას და ინფორმაციის გაცვლას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულ და ზუსტ კომუნიკაციას, რომელიც ემყარება ერთმანეთის ფუნქციების მკაფიოდ გააზრებისა და კომპრომისზე წასვლის მზაობის საფუძველზე გამომუშავებულ ორმხრივ ნდობას.^{xxxvii} ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით სირთულეებს წარმოშობს მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობაც და, ამრიგად, განისაზღვრა კომუნიკაციის გაუმჯობესების ღონისძიებებიც. უსაფრთხოებაზე ფოკუსი საჭიროებს უსაფრთხოების უწყებების და, ასევე, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ერთეულებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას, რაც განაპირობებს ინფორმაციის გაზიარების, თანამშრომლობისა და ერთობლივი მუშაობის გზების მოძიების აუცი-ლებლობას.^{xxxviii} დაბოლოს, ტრენინგმა შეიძლება ასევე გააძლიეროს მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობები და მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან კოორდინაცია უფრო ფართო, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის ფარგლებში.

ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომა

ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის აუცილებლობას განაპირობებს არამხოლოდ სამუშაოს ხასიათი, არამედ იმ აქტორების რაოდენობაც, რომლებიც ჩართულნი იქნებიან რეკონსტრუქცია-რეინტეგრაციის მთლიან პროცესში. დაბრუნებულ ბავშვებზე პერსონა-ლიზებული გრძელვადიანი ზრუნვა მოითხოვს მრავალ უწყებას შორის თანამშრომ-ლობას, როგორებიცაა ბავშვთა დაცვისა და სამართალდამცავი უწყებები.^{xxxix} ძალა-დობრივ ექსტრემისტულ გარემოში ყოფნამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, სოციალურ ცხოვრებაზე, განათლების დონესა და სამართლებრივ სტატუსზე. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, თითოეულ ბავშვისათვის საჭიროა მულტიდისციპლინურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, ტრავმაზე ორიენტირებულ თერაპიას, საგანმანათლებლო ზრუნვას, პროფესიულ მომზადებას, მენტორობასა და რეკრეაციულ-კულტურულ ღონისძიებებს.^{xl}

რეინტეგრაციას მონაწილე სუბიექტების კიდევ უფრო ფართო სპექტრი სჭირდება: მასწავლებლები ყველაზე უკეთ აფასებენ ბავშვის შესაძლებლობებს საგანმანათლებლო სისტემაში და ხელს უწყობენ მათ სოციალურ ჩართულობას; ადვოკატმა უნდა დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები; პროცესში შეიძლება ჩაერთოს პოლიცია, როდესაც ბავშვს საფრთხე ემუქრება ან პრობლემური ქცევა ახასიათებს; ასევე, სხვა პროფესიონალებიც: ბავშვთა დაცვის სამსახურები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თემის ლიდერები და ინსტრუქტორი („ქოუჩი“) / მენტორები.^{xli}

მხავადუწყებრივი დახვტაშოხისი მიდგომა

არაერთი კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა აქტორს შორის კოორდინაციის საუკეთესო პრაქტიკა. აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის შეძლების-დაგვარად მალე იდენტიფიცირება, დაკავშირება და ჩართვა. მრავალუწყებრივი მიდგომის შემუშავების საკვანძო ასპექტია სხვადასხვა სფეროს (ახალგაზრდებზე ზრუნვა, განათლება, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა და ა. შ.) ექსპერტთა გუნდის ან ეროვნული მობილური გუნდის ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლება ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერა.^{xlii} შერჩეულ სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ საფრთხეგამოვლილ თუ ექსპლუატაციის (ბანდებში მყოფი ახალგაზრდები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირები, ლტოლვილები და დევნილები) მსხვერპლებთან მუშაობის გამოცდილება.^{xliii} ზოგმა ქვეყანამ ზემოაღნიშნული დაინტერესებული მხარეები ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გააერთიანა, ზოგმაც სამუშაო ჯგუფები ან კომისიები შექმნა, რომლებსაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა სამინისტრო ან სახელმწიფო უსაფრთხოების უწყება. სწორედ ამ უწყებების პასუხისმგებლობაა დავალებების გადანაწილება (დელეგირება) და შიდა კომუნიკაციის პროცესის კოორდინაცია.^{xliiv} იდენტიფიცირების შემდგომი ეტაპია აქტორებისთვის მკაფიო განაწესის შედგენა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის ეფექტური ერთობლივი მექანიზმის ჩამოყალიბება. რაც უფრო ფართოა პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების დიაპაზონი, უფრო სავარაუდოა, რომ პროცესი „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ ფორმას მიიღებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა, მათი ნდობა და მათი წვლილის დაფასება შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა იმუშაონ უნდობლობის შემცირების, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ - სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან ორმხრივი დიალოგის შენარჩუნების მიმართულებით.^{xlv}

ერთ-ერთი მიდგომა გულისხმობს ამოცანების შესრულების ზედამხედველობას სამი საკვანძო ერთეულის - სახელმწიფო საკონსულტაციო ჯგუფის, რეგიონული საკოორდინაციო კომიტეტისა და ადგილობრივი განმახორციელებელი პარტნიორების

მიერ.^{xlvi} რეინტეგრაციის პროცესი იწყება სახელმწიფო საკონსულტაციო ჯგუფით, რომელიც პასუხისმგებელია რეპატრიანტების თავდაპირველ მიღება-შეფასებასა და თითოეული ადამიანის სამშობლოში დაბრუნების გეგმის განსაზღვრაზე. სახელმწიფო საკონსულტაციო ჯგუფი პროცესში ჩართავს სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და პრაქტიკოს სპეციალისტს, რათა ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, ინფორმაციის გაზიარებასა და პოლიტიკის თანმიმდევრულობას. სახელმწიფო საკონსულტაციო ჯგუფი ასევე პასუხისმგებელი იქნება პროგრამის შეფასების ხელშეწყობაზე, რეპატრიანტების განსახლების დეტალების განსაზღვრასა და რეინტეგრაციის ინდივიდზე მორგებული, დეტალური გეგმის შემუშავებაზე. ამ ეტაპზე რეინტეგრაცია წარმართება ერთი რეგიონული და ერთი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს თანამშრომლობით; რეგიონული ორგანო მოიცავს სხვადასხვა სამთავრობო უწყებას, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებს, რითაც მარტივდება ინფორმაციის მიმოცვლა და რეინტეგრაციის კონკრეტული შემთხვევების მიმდინარეობის ზედამხედველობა. ადგილობრივი განმახორციელებელი პარტნიორები პასუხისმგებელი იქნებიან მომსახურების მიწოდებაზე, უსაფრთხოების მონიტორინგსა და უწყვეტ შეფასებაზე.^{xlvii}

ნდობის მოპოვება

პროცესში სუბიექტთა მრავალფეროვანი სპექტრის ჩართვის საჭიროება წარმოშობს რამდენიმე გამოწვევას. აქტორების მრავალფეროვნებამ შეიძლება დააბნოს ბავშვები და გაართულოს მათი ნდობის მოპოვება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ზემოაღნიშნული ფართო სპექტრის ჩართულობა უშუალოდ განაპირობებს შეფასებების სიმრავლესა და სავარაუდო ტრავმული გამოცდილების ხელახლა გადატანას. ბავშვებს უნდა აუხსნან, ვინ არიან ეს სპეციალისტები, რა ფუნქციები აკისრიათ და რა როლს ასრულებენ საერთო პროცესში.^{xlvi} კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა არის ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით არსებული ბარიერები. აუცილებელია პროფესიონალების თანამშრომლობითი ურთიერთობის უზრუნველყოფა, უწყებებს შორის ინფორმაციის გაზიარების სამართლებრივი და სხვა ბარიერების დაძლევა, რაც მოიცავს, მაგალითად, განსხვავებულ მანდატებს, ნდობის ნაკლებობას, კადრისა თუ დროის სიმწირესა და ინფორმაციის გაცვლის პლატფორმების ნაკლებობას.^{xlvi}

ინფორმაციის გაზიარება

წარმატებული მრავალსუბიექტიანი მიდგომის მთავარი ელემენტია საჭირო მოცულობის ინფორმაციის გაზიარება. ზრუნვის სათანადო ღონისძიებების შემუშავება-წარმართვისათვის სპეციალისტებს დასჭირდებათ დაწვრილებითი ინფორმაცია სამშობლოში დაბრუნებული ადამიანების შესახებ. ამისთვის საჭიროა სამინისტროებს შორის ინფორმაციის შეუფერხებლად და პროაქტიურად გაზიარება. ცხადია, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური საკითხების სენსიტიურობა, ასევე ინფორმაციის

უნყებათაშორისი გაზიარების სამართლებრივი ბარიერები პრაქტიკოსებს უზღუდავს წვდომას ბავშვის, მისი მშობლების პირადი ისტორიის, ურთიერთობების ისტორიისა და წარსული გამოცდილებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე; ამიტომ, თუ შესაძლებელია, საჭიროა პრაქტიკოსებთან საყურადღებო ინფორმაციის გაზიარებისა და ამის ხელშეწყობის, ასევე ინფორმაციის გაზიარების ბარიერების გადალახვის მიმართულებით მუშაობა.^{li} საჭიროა კოორდინაციისა და ინფორმაციის გაზიარების მყარი პროტოკოლის შემოღება, რაც უზრუნველყოფს სოციალური მუშაკებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებისათვის ცალკეული შემთხვევების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას. დაბრუნებულ ოჯახებთან მუშაობის პროცესში სპეციალისტებმა უნდა იხელმძღვანელონ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებით. ნდობის მოპოვებას კი შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც ოჯახებისთვის, ისე სამართალდამცავი ორგანოებისთვის ინფორმაციის გაზიარების პარამეტრების გაცნობამ.^{lii}

პროფესიონალთა ქსელისა და სწავლების შესაძლებლობების გაფართოება

მრავალაქტორიანი მიდგომის როგორც საჭიროების, ისე გამოწვევების გაცნობიერების საფუძველზე, პრაქტიკოსებმა გამოავლინეს შემდეგი შესაძლო გადაწყვეტილებები: ყველა შესაბამისი აქტორის ყოვლისმომცველი ქსელის შექმნა, სამოქალაქო საზოგადოებასა და ოფიციალურ აქტორებს შორის ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად; ინფორმაციის გაცვლის სტრუქტურირებული სისტემის შექმნა საკონტაქტო პირების იდენტიფიცირებისა და პასუხისმგებლობათა დაზუსტების მიზნით; მაგალითად, კონკრეტულ შემთხვევებზე ორიენტირებული თათბირების ჩატარება, რაც აქტორებს ერთმანეთის პირადად გაცნობასა და უნდობლობის შემცირებაში დაეხმარება; ინდივიდუალურ შემთხვევებზე მუშაობასთან დაკავშირებული რეგულარული დიალოგი აქტორებს შორის ურთიერთმოლოდინების მართვისა და ცრურწმენების განეიტრალების მიზნით; რეპატრიაციამდე ინდივიდუალური შეფასების განხორციელება შესაბამისი აქტორების დროულად გამოვლენისა და პროცესში ჩართვის მიზნით; და ურთიერთობების დამყარება და პერსონალის ჩართვა სამშობლოში დაბრუნებული ადამიანების სოციალურ გარემოში.^{liii} შესაბამისი მომსახურებების განმახორციელებელმა ერთეულებმა შექმნეს სხვადასხვა დარგის მრავალი სპეციალისტით, მაგალითად, ფსიქოლოგებითა თუ ფსიქიატრებით დაკომპლექტებული გუნდები. სპეციალიზებული ქსელების ჩამოყალიბება და გაფართოება მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ხელშესაწყობად და აუცილებელ ექსპერტულ ცოდნაზე წვდომის უზრუნველსაყოფად.^{liiv}

დაბოლოს, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა დონეზე ჩართული აქტორების ტრენინგს (გადამზადებას). სამშობლოში დაბრუნებულ ადამიანებთან ეფექტური მუშაობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკოსთა შესაფერისად მომზადებას, განსაკუთრებით ძალადობრივი ექსტრემიზმისთვის დამახასიათებელი გამოწვევების ცოდნას; ამრიგად, მინიმალური მოთხოვნა უნდა იყოს ძალადობრივი

ექსტრემიზმის პოტენციურ გამოცდილებებსა და ზემოქმედებასთან დაკავშირებული ტრენინგი.^{lv} ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოთერაპევტების სწავლება და უწყვეტი განათლება გაურკვევლობის შესამცირებლად და სათანადო ზრუნვის უზრუნველსაყოფად: განსაკუთრებით საჭიროა ტრავმაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიის საბაზისო ტრენინგი იდეოლოგიზებულ ბავშვებთან მუშაობისათვის ან საბაზისო ტრენინგი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში.^{lvi} რამდენიმე ქვეყანაში მთავრობამ აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა დაბრუნებულ ადამიანებთან მუშაობისათვის საჭირო კომპეტენციის გაძლიერებაზე ორიენტირებული ტრენინგები შეემუშავებინათ. მხარდაჭერა არ შემოიფარგლება პირველადი ტრენინგით, არამედ, სამუშაოს კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, გრძელდება მენტორობისა და ზედამხედველობის პროგრამებით.^{lvii} შემთხვევების მეთვალყურეებისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექსპერტთა კონსულტაციები და ავტორიტეტული წყაროები - განსაკუთრებით, ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული რესურსები, რომლებიც, მაგალითად, მოიცავს ინფორმაციას *ისდამუხი სახედმწიფოსთვის* სახასიათო ძალადობის მექანიზმების შესახებ.^{lviii} ვინაიდან რეინტეგრაციის ხელშეწყობის ბევრი პროგრამა მოიცავს მიმღები ოჯახის ჩართულობას, მზრუნველებს უნდა ჩაუტარდეთ ტრავმაგამოვლილი ბავშვის განვითარებისა და გამოჯანმრთელების ძირითად ასპექტებთან დაკავშირებული ტრენინგი; ასევე, საჭიროა მუდმივი მენტორობა სახლში ზრუნვის სისტემის ეფექტურობის შესანარჩუნებლად.^{lix} ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ტრენინგს უტარებენ ასევე იმ პირებს, რომლებიც ხვდებიან სამშობლოში დაბრუნებულებს, რის შედეგადაც იძენენ დაბრუნებულების ეფექტიანი რეინტეგრაციისათვის საჭირო უნარებს.^{lx}

სამშობლოში დაბრუნებული პირებისთვის შემუშავებული პროგრამა სამ ასპექტს აერთიანებს: პირველი - მიღების ეტეპი - გულისხმობს სამშობლოში დაბრუნებულ პირთა მიღებას რეპატრეაციის შემდეგ; იგი, როგორც წესი, ორიენტირებულია ჯანდაცვის მომსახურებასა დე დოკუმენტების უზრუნველყოფაზე მინიმუმ 24 საათის განმავლობაში; მეორე - რეაბილიტეცია - შეიძლება ცალკე ეტეპად განხორციელდეს, როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ პირებს ათავსებენ კონკრეტულ სივრცეში, სადაც უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიური დე სოციალურ-ეკონომიკური დახმარებით, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, რეაბილიტეცია ხორციელდება რომელიმე სხვა ეტეპთან ერთად; დე მესამე: საბოლოო მიზანია სამშობლოში დაბრუნებულ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრეაციის ხელშეწყობა, რასაც ზოგჯერ უწყვეტი ხასიათი აქვს. მომდევნო ნაწილში დეტალურადაა აღწერილი ჩარევის ამ ეტეპებზე გამოვლენილი საუკეთესო პრეკტიკა.

მდგეხადი ფსიქოლოგიური მხარდაჭეხა

სამშობლოში დაბრუნებულმა ადამიანმა შეიძლება გარკვეულ დონეზე გამოავლინოს მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმა, რაც მოიცავს: შესუსტებულ რეაქციებს, ხმაურისადმი მომატებულ მგრძობელობას, ფსიქოსომატურ სიმპტომებს, ძილის პრობლემებს, განცდილი შემთხვევების გახსენებას, შემანუხებელ მოგონებებსა დე გაძლიერებულ შფოთვას, ბრეზის, სირცხვილისა დე უიმედობის შეგრძნებას.^{lxi} ამგვარად, რეპატრეაციის ყველა პროგრამას სჭირდება გრძელვადიანი, დროული დე ეფექტური ფსიქოლოგიური ჩარევისთვის (ინტერვენციისათვის) აუცილებელი რესურსები. ბევრი პრეკტიკოსი თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში ფსიქოთერეპიული მკურნელობის ხელმისაწვდომობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამშობლოში დაბრუნებულ პირთა რეაბილიტეციის თვალსაზრისით, რამდენადაც უმრავლესობას კომპლექსური ტრავმა აქვს გადატანილი.^{lxii} სამშობლოში დაბრუნებულ პირთა შედარებით უნიკალური გამოცდილებების გათვალისწინებით, პრეკტიკოსები აღნიშნავენ შემდეგს: საჭიროა მოთმინება, რომ ადამიანი დათანხმდეს თერეპიის გავლას, რადგან მათ ხშირად ახასიათებთ „შერეული იდენტობა“; მძიმე ტრავმის შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებმა მთელი ძალისხმევა უნდა მიმართონ ინდივიდის სტებილიზეციაზე; საჭიროა სოციალური მუშაკების გადამზადება ტრავმასთან გამკლავების მიმართულებით; მრავალი სხვადასხვა ტრავმის შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს მულტიმოდალური მხარდაჭერა, მაგალითად: მძიმე შემთხვევებში ფსიქოფარმეკოლოგიური პარალელური მკურნელობის გამოყენება; ექსპერტულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობისათვის სპეციალიზებული ქსელების შექმნა დე პერსონალის უწყვეტი გადამზადება კულტურათმორისი კომპეტენციების გამომუშავების მიზნით; ასევე, შემთხვევის ხასიათზე დამოკიდებული ჯგუფური თუ ინდივიდუალური დისკუსიის შესაფერისობა.^{lxiii} ფსიქოლოგიური მომსახურება ხელს უნდა უწყობდეს იდენტობის

განვითარებას, სოციალური და ტრავმასთან გამკლავების უნარების გამომუშავებას კოგნიტური მოქნილობის გაზრდის მიზნით, პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ძლიერი ემოციების, მაგალითად, ბრაზის, რეგულირების უნარების შეძენას და ძალადობრივი იდეოლოგიისგან დამოუკიდებელი თვითფექტიანობის გაძლიერებას^{lxiv} მიუხედავად ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებებისა, სამშობლოში დაბრუნებული ოჯახებისათვის განსახლების ადრეულ ეტაპებზე ხშირად უფრო პრიორიტეტულია საბაზისო საჭიროებებსა და ადაპტირების უნარებზე ფოკუსირება; შეიძლება, ასევე, აქტუალური იყოს იმ ინტერვენციების განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება განსაცდელთან გამკლავების ეფექტური უნარების გამომუშავებაზე,^{lxv} განსაკუთრებით ადრეულ ეტაპებზე, როდესაც დაბრუნებულებს არ სურთ თერაპიის გავლა. ძალიან მნიშვნელოვანია „უსაფრთხო სივრცის“ შექმნა, სადაც ბავშვებს შეუძლიათ თანდათანობით გამოავლინონ გადატანილი ტრავმა, მაგალითად, თამაშის ან არტ-თერაპიის მიდგომის საშუალებით, რომელიც არ უნდა ეყრდნობოდეს სტიგმატიზაციას ან ფსიქოპათოლოგიური საჭიროებების წინასწარ ვარაუდს.^{lxvi}

პროგრამის განხორციელებისას პრიორიტეტულია ტრავმის ხელახლა მიყენების თავიდან აცილება და ნდობის მოპოვება, განსაკუთრებით ბავშვების შემთხვევაში. სამშობლოში დაბრუნების პროცესი შეიძლება ხელახლა მატრავმირებელი იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რეინტეგრაცია მოიცავს დაკავებას ან, როგორც ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა,^{lxvii} განსაკუთრებით ტრავმული სკრინინგის პროცესს, მაგალითად, როდესაც მოხელეები ჩამოსვლისთანავე ძალდატანებით აცალკევებდნენ ბავშვებს მშობლებისგან. იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის საჭიროებების შეფასება, სხვადასხვა აქტორის მიერ ხშირი და არაკოორდინირებული სკრინინგისა და შეფასების პროცედურა ბავშვებზე ტრავმულად ზემოქმედებს და ფსიქოლოგიური ზიანს აყენებს.^{lxviii} ნდობის მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანია, ბავშვს ავუსხნათ მთლიანი პროცესი და ჩართული სპეციალისტების ფუნქცია, ასევე, უზრუნველვყოთ პრაქტიკოსების სათანადო კომპეტენტურობა, განსაკუთრებით ტრავმის გათვალისწინებით გამოსაყენებელი მიდგომების მიმართულებით.^{lxix} პროცესში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების ჩართვა, რომლებსაც აქვთ მიგრაციის, ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის სხვადასხვა ფორმებით დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, ასევე მხარდაჭერის აღმოჩენისას ნაკლებად კლინიკურმა და უფრო ჰოლისტურმა მიდგომებმა შეიძლება სამშობლოში დაბრუნებულები დაარწმუნოს, რომ მათი ესმით და, ამრიგად, გაზარდოს სპეციალისტებისადმი ნდობის ხარისხი.^{lxx} ნდობის მოპოვების მეორე ეფექტური საშუალება არის ოჯახების საჭიროებებზე ეთიკური, გულისხმიერი და კულტურული თვალსაზრისით ადაპტირებული რეაგირება, ასევე, საკონსულტაციო ცენტრის ან მომსახურების ჯგუფების არსებობა, რომლებიც ხელს შეუწყობს აქტორებს შორის კოორდინაციას, რითაც შესაძლებელია ერთი და იმავე შეკითხვების არიდება.^{lxxi}

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს სამშობლოში დაბრუნებულ ბავშვებსა და დედებთან „ცხოვრებისეული ისტორიის“ გაცნობიერებაზე მუშაობის გზების გამონახვას, რაც მათ სხვადასხვა იდენტობისა და ცხოვრებისეული ასპექტის შეჯერებაში დაეხმარებათ.^{lxxii} რეკომენდებულია, რომ ოჯახებთან მომუშავე პრაქტიკოსებმა შეიმუშაონ საერთო ნარატივი, რათა სამშობლოში დაბრუნებულებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის გრძნობა. თავის როლს ასრულებს ასევე გრძელვადიანი მენტორობა და მიზანმიმართული კონსულტაციაც. მნიშვნელოვანია საზოგადოებაში იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ მიმღებ საზოგადოებასთან დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ რეინტეგრაციას. ზოგ შემთხვევაში გამოიყენეს საზოგადოებრივი მხარდაჭერის ჯგუფები; ასევე, განათლების ალტერნატიული მიდგომები - მაგალითად, რეპეტიტორის დახმარება ან ონლაინსწავლება - ეფექტური აღმოჩნდა მოზრდილი ბავშვების სწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის თვალსაზრისით.^{lxxiii} თავდაპირველად, პრაქტიკოსებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ პირის სტაბილიზაციაზე და არა მისი იდეოლოგიის შესწავლაზე.^{lxxiv} ალტერნატიული იდენტობის განმსაზღვრელი მიდგომა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც იდენტობის დაცვის ამგვარი მექანიზმის გარდაუვალი საჭიროება დგას; ამასთან, ასეთ [ინტერვენციას] უნდა ახლდეს ბავშვთან ასაკის შესაფერისი კომუნიკაცია, რათა მანაც გაიაზროს ღონისძიების საჭიროება.^{lxxv} დერადიკალიზაცია რეაბილიტაციის მომსახურების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც არბილებს „ჩვენ მათ წინააღმდეგ“-ტიპის მსოფლმხედველობას, ზრდის ალტერნატიული პერსპექტივების ცნობადობას და ხელი უწყობს ტოლერანტობასა და ჩართულობას – თუ მიზანშეწონილია, ამ ძალისხმევის ფარგლებში შესაძლებელია თეოლოგიებისა და რელიგიური ლიდერების ჩართვაც.^{lxxvi} წარმატებას მიაღწიეს პროგრამებმა, რომლებიც სხვა მომსახურებასთან ერთად რელიგიური მენტორობის კომპონენტსაც მოიცავდა, რაც დაბრუნებულებს რელიგიური თემების განხილვის საშუალებას აძლევდა. თუმცა, რელიგიური და იდეოლოგიური მენტორობის თვალსაზრისით არსებობს გარკვეული გამოწვევები, კერძოდ: მენტორი შეიძლება არალეგიტიმურად მიიჩნიონ თუ მათ აღიქვამენ ისლამის „სწორი“ ვერსიის მქადაგებლებად; ან შეიძლება ნდობა ვერ მოიპოვონ, თუ დაუკავშირებენ სამართალდამცავ ორგანოებს და არ მიიჩნევენ თემის ნაწილად.^{lxxvii}

(ფაქტო) ოჯახების ჩახთვისა

ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც სირიიდან მოქალაქეთა რეპატრაციას უზრუნველყოფს, ყურადღება უნდა გაამახვილოს და ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობას რეპატრიანტთა დაბრუნების ყველა ეტაპზე. რეპატრაციამდე ოჯახის წევრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ცალკეულ პირებთან კონტაქტის დამყარებაში. რამდენიმე სახელმწიფო პროგრამის

ფარგლებში დადგინდა, რომ ოჯახის წევრები შესაძლოა წარმოადგენდნენ ფსიქოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერის უნიკალურ წყაროს, რადგან ისინი ხელს უწყობენ რეინტეგრაციას და, ამასთან, პრაქტიკოსებისათვის საკონტაქტო პირებს წარმოადგენენ. ამ ფუნქციის ეფექტურად შესასრულებლად, შესაძლოა ოჯახებისთვის ბავშვის განვითარებისა და ტრავმის დაძლევის მიმართულებით ტრენინგების უზრუნველყოფა.^{lxxviii} პრაქტიკოსებს შეუძლიათ იმუშაონ ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით, მაგალითად: შეათანხმონ საერთო ნარატივი, რაც ბავშვს გაუმყარებს მიკუთვნებულობის განცდას, დაუშვან დაკავებულ დედასთან რეგულარული კონტაქტი, შეუმსუბუქონ ბებია-ბაბუას ბავშვის ყოველდღიური აქტივობების ხელშეწყობის „ტვირთი“ და დაეხმარონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გაცნობიერებასა და პრიორიტეტიზაციაში.^{lxxix} მთელი ოჯახისთვის კონსულტაციის განწევა პერსპექტიული მიდგომაა, თუმცა ამისთვის საჭიროა კომუნიკაციისთვის საკმარისი ნდობის მოპოვება.^{lxxx} რეკომენდებულია დიდი ოჯახის ჩართვა როგორც ბავშვების, ისე უფროსების რეინტეგრაციაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოჯახი არ წარმოადგენს რადიკალიზაციის განმაპირობებელ ფაქტორს.^{lxxxi} მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს საშუალება მიეცეთ დარჩნენ დედებთან გამოძიების მსვლელობისას, სანამ საჭირო არ გახდება მათი ერთმანეთისგან განცალკევება, რა დროსაც ბავშვის დედამამიშვილებსა და ოჯახთან ერთად ყოფნა ყველაზე კარგი და უსაფრთხო გამოსავალია.^{lxxxii} სამშობლოში დაბრუნებული ბავშვების დროებითი ზრუნვის დაწესებულებებში განთავსებისას ხშირად შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს გაჭიანურებულ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ბავშვებისათვის გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას. ბავშვების ოჯახებისაგან გამოცალკევება უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს; პროგრამის ფარგლებში უნდა შემუშავდეს ბავშვების ოჯახებიდან გამოცალკევების სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რათა ცხადი იყოს, როდის ემსახურება ამგვარი მოქმედება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და როდის წარმოადგენს უკიდურეს გამოსავალს.^{lxxxiii}

ჩინოვებისათვის შესაფერისი გახეობის იდენტიფიცირება

რეინტეგრაციის ეტაპის მნიშვნელოვანი ასპექტია ადამიანის მოთავსება რეინტეგრაციისათვის შესაფერ გარემოში, სადაც გათვალისწინებულია „ზიანის მიუყენებლობის“ პრინციპი.^{lxxxiv} ეს გულისხმობს რეინტეგრაციის პროცესში მყოფი ადამიანებისა და მათი ოჯახების საჭიროებებისა და რისკების, ასევე, საზოგადოების ხასიათის მაქსიმალურად გათვალისწინებას. ოჯახის გაერთიანებისა თუ ხელახლა გაერთიანების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა გადაისინჯოს პოტენციურად სახიფათო გარემოსთან მიმართებით.^{lxxxv} მეორე მიდგომა გულისხმობს ოჯახებისა და საზოგადოების წევრების გულისხმიერების (მგრძნობიარობის) ზრდას, რათა უკეთ გაიაზრონ სამშობლოში დაბრუნებული ბავშვების განცდები და გრძნობები. მაგალითად: უცხოდ მოეჩვენებათ „მშობლიური“ კულტურის ბევრი ასპექტი. ბავშვებს სჭირდებათ დრო, რომ შეეგუონ ახალ საკვებსა და ტანსაცმელს, თქვან, ვინ ან რა ენატრებათ.^{lxxxvi} სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ დაეხმარონ ოჯახებს რეინტეგრაციის ბევრ ასპექტში, მათ შორის გლოვისა და დანაკარგის პერიოდში.^{lxxxvii}

რეინტეგრაცია ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ, სოციალურ და სამოქალაქო ინტეგრაციას.^{lxxxviii} მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის მექანიზმი მორგებული უნდა იყოს კონკრეტული ადამიანის საჭიროებს, რეინტეგრაციის ყველა გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს განათლების ხელმისაწვდომობასა და ცხოვრებისათვის საჭირო უნარების ათვისების შესაძლებლობას, საარსებო წყაროსა და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭებას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სკოლების ჩართულობა, რადგან რეინტეგრაციის პროცესზე გადასვლისას საკვანძო ფუნქციას ითავსებენ ადგილობრივ თემები და არაფორმალური მხარდაჭერის ქსელები; მულტიდისციპლინური მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ ამ გარდამავალი ეტაპის მხარდაჭერა და სამშობლოში დაბრუნებულებსა და საზოგადოებას შორის ხიდის ფუნქციის შესრულება.^{lxxxix} მენტორობის, კლუბებისა და რელიგიური შეხვედრების მსგავსი აქტივობები წარმოქმნიან არაფორმალური სოციალური მხარდაჭერის შესაძლებლობებს, ხოლო სამოქალაქო და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა ზრდის ფუნქციურობისა და მნიშვნელოვანების განცდებს.^{xc}

მნიშვნელოვანია რეპატრირებული ოჯახებისთვის ადეკვატური ფინანსური დახმარების განწვევა და ეკონომიკური სტაბილურობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა; არასტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში ყოფნა უფრო დიდი ალბათობით გაზრდის მარგინალიზაციისა და შესაძლო რადიკალიზაციის რისკებს, ვიდრე რეინტეგრაცია.^{xcii} ზოგ შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებულ ქალებს ჰყავთ 3-5 შვილი, რომელთა რჩენაც მხოლოდ თვითონვე უწევთ (ქმრების პატიმრობის ან გარდაცვალების გამო).^{xciii} ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობის მიზნით ზოგმა სახელმწიფომ სამშობლოში დაბრუნებული პირებისთვის გამოყო მხარდაჭერის პაკეტი, რაც მოიცავს ძირითად საცხოვრებელს, საკვებს, ტანსაცმელსა და სამედიცინო დახმარებას. იმის მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ასეთი დახმარების უვადოდ განწვევა, ყურადღება გამახვილებულია შრომის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობაზე, რაც შეიძლება მოიცავდეს პროფესიული სასწავლო კურსების, მოკლე კურსებისა და პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზებას, როგორებიცაა: სილამაზის სექტორში მომსახურება, მზარეულობა და საჭმლის მომზადება, ასევე მცირე ბიზნესის წამოსაწყებად ან დასაქმებასთან დაკავშირებული აღჭურვილობის შესაძენად მცირე გრანტების გაცემა.^{xciii} თუმცა, მთავარი პრობლემა არის ის, რომ დასაქმება გარანტირებული არ არის; ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ სტიგმატიზაცია წარჩუნდება, შესაძლებლობებიც შეზღუდულია.^{xciv}

სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ის ქმნის უსაფრთხო და სტრუქტურირებულ გარემოს, რაც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის.^{xcv} მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ სიტუაცია, რათა სათანადოდ მოექცნენ დაზარალებულ არასრულწლოვნებს (ერთ-ერთი ვარიანტია სკოლის დირექტორის ჩართვა შემთხვევებთან დაკავშირებულ შეხვედრებში), მაგალითად, თუ მედიაში გაკეთებული განცხადებები გამოიწვევს სტიგმატიზაციას და გადაჭარბებულ რეაქციას სხვა ბავშვების, მშობლების ან მასწავლებლების მხრიდან.^{xcvi} მეორე საკითხი, რომელიც უნდა აღინიშნოს ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი სიტუაციური ანალიზიდან, არის რეინტეგრაციის პროგრამების ტენდენცია, რომ ყურადღება გაამახვილონ სამშობლოში დაბრუნებული ბავშვების სასკოლო პროცესში დაბრუნებაზე, თუმცა არსებობს რისკი, რომ სკოლებში ბავშვებს გაუჭირდეთ რეინტეგრაცია; აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხორციელდეს სამშობლოში დაბრუნებული ბავშვების სოციალური და საგანმანათლებლო განვითარების მონიტორინგი.^{xcvii}



საყოველთაოდ ცნობილია, რომ რეპატრიანტები, როგორც სამშობლოში დაბრუნებული უცხოელი მებრძოლები, ისე რეინტეგრირებული ყოფილი მებრძოლები, მნიშვნელოვან სტიგმატიზაციას განიცდიან მიმღებ საზოგადოებებში.^{xcviii} სტიგმატიზაცია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მან შეიძლება ხელი შეუშალოს საზოგადოებაში წარმატებით რეინტეგრაციას; ასევე, ცნობილია, რომ წარმატებული რეინტეგრაციისა და შემდგომში ხელახალი ძალადობრივი რადიკალიზაციის რისკის შესამცირებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სხვა წევრებთან პროსოციალური კავშირების დამყარებას.^{xcix} შედეგად, სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის შემუშავება საუკეთესო პრაქტიკადაა აღიარებული.

სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის ინტეგრირება

სამშობლოში დაბრუნებულთა მიმართ ნეგატიური და სტიგმატიზებული გზავნილების თავიდან ასაცილებლად, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს რეინტეგრაციის პროცესს, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიმუშაონ მკაფიო საჯარო ჩართულობის სტრატეგია.^c პირველი ნაბიჯია იმის უზრუნველყოფა, რომ მკაფიოდ განისაზღვროს [მთავრობის] პოლიტიკაში სტრატეგიული კომუნიკაციის საკვანძო მნიშვნელობა პროგრამის განხორციელების პროცესში და, შედეგად, სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით იმგვარი მიდგომის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს კამპანიის, გზავნილების, გავრცელების და შეფასების პრინციპებს.^{ci} საჯარო გზავნილების გავრცელება უნდა იყოს ზუსტი და დროული; ასევე, გამავრცელებელი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელსაც სამიზნე აუდიტორია ენდობა. გზავნილი უნდა შეესაბამებოდეს სამიზნე აუდიტორიის მოლოდინებს, განმარტავდეს პროგრამის მიზნებს და ზომიერად ასახავდეს რისკებსაც.^{cii} გზავნილის მიზანია, საზოგადოებას აუხსნას სამშობლოში დაბრუნებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის სარგებელი, მართოს ამ თემებთან დაკავშირებული საჯარო დისკუსია, გამოიყენოს პოზიტიური ნარატივი, აცნობოს საზოგადოებას მთავრობის ძალისხმევასთან დაკავშირებული სიახლეებისა და ნებისმიერი დადებითად განვითარებული მოვლენის თაობაზე, რათა შერბილდეს საფრთხის შიში და ხელი შეეწყოს რეინტეგრაციას.^{ciii}

სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმების შემუშავების პროცესში შესაძლებელია ძალადობრივი ექსტრემისტების რეინტეგრაციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მხარდაჭერის საკითხებზე ჩატარებული შედარებით ახალი კვლევების გამოყენება. სამშობლოში დაბრუნებული პირის მიმართ დაწესებული სასჯელის ფორმამ შეიძლება იმოქმედოს საზოგადოების მხრიდან მისი რეინტეგრაციის მხარდაჭერაზე; არასაპატიმრო, საზოგადოებაზე ორიენტირებული აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში დაკისრებული სასჯელი ზრდის მხარდაჭერას *ისდამუხი სახედმწიფოს* კოლაბორაციონისტების რეინტეგრაციის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით ხანგრძლივი პატიმრობის სასჯელზე.^{civ} რეინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულებითი და ქცევითი მხარდაჭერა უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს გავლილი აქვს დერადიკალიზაციის ან რეაბილიტაციის პროგრამა,^{cv} თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რამდენად დამატებულია [საზოგადოებისთვის] პროგრამის ეფექტურობა.^{cvi} მიუხედავად ამისა, მხარდაჭერის გაზრდა შეიძლება არა უშუალოდ პროგრამას, არამედ ამ პროგრამის მნიშვნელობას უკავშირდებოდეს, ვინაიდან რეინტეგრაციისადმი მხარდაჭერა იზრდება, როცა საზოგადოება ფიქრობს, რომ ადამიანს შეუძლია შეცვლა.^{cvii} მაგალითებიდან ჩანს, რომ მხარდაჭერა რეინტეგრაციის მიმართ იზრდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანი გამოხატავს სინანულს,^{cviii} ხოლო დერადიკალიზაციის ან რეაბილიტაციის პროგრამის გავლამ შეიძლება გაზარდოს მხარდაჭერა, რამდენადაც წარმოაჩენს რეინტეგრაციის პროცესში მყოფი ადამიანის გამოსწორების უნარს.^{cix} მეორე გასათვალისწინებელი ფაქტორი არის ის, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ პროგრამების ტიპები და მათი ბრენდირება; „დერადიკალიზაციის“ და არა „რეაბილიტაციის“ პროგრამების სახელით ცნობილმა რეინტეგრაციის პროგრამებმა შეიძლება საზოგადოების მხარდაჭერა გაზარდოს, თუმცა მათი ეფექტურობისადმი რწმენა შეასუსტოს.^{cx} ამრიგად, იმის პარალელურად, რომ რეინტეგრაციამდე „მკურნალობის“ გარკვეულ პროცესში ჩართულობამ შეიძლება გააძლიეროს მხარდაჭერა, ასევე მნიშვნელოვანია მიმღები საზოგადოების ინფორმირება და დაბრუნებული ადამიანების გამოსწორების თაობაზე მკაფიო გზავნილის გავრცელება.

დანაშაულის გამოსყიდვის შესახებ გზავნილის გადაცემის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, თუ ვინ არის ამ გზავნილის გამავრცელებელი: ერაყში ისლამური სახელმწიფოს კოლაბორაციონისტების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა იზრდებოდა, როცა გზავნილი მომდინარეობდა თემის ან რელიგიური ლიდერისგან;^{cxii} ნიგერიაში სანდო გამავრცელებლებს, მაგალითად, რელიგიურ ლიდერებს, შეუძლიათ შეცვალონ სოციალური ნორმები იმგვარად, რომ საზოგადოებამ მიიღოს „ბოკო ჰარამის“ დაჯგუფების ყოფილი წევრები.^{cxiii} ნარატივის ფორმირებაში ასევე შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მთავრობისა და მედიის ურთიერთობამაც, განსაკუთრებით იქიდან გამომდინარე, რომ მედიაში საკითხის გაშუქებამ შეიძლება განსაზღვროს დამოკიდებულება რეინტეგრაციის პროგრამების მიმართ. რაც უფრო

პროაქტიური იქნება მთავრობის გზავნილები და რაც უფრო მაღალი დონის წყაროებს დაეყრდნობა (მაგალითად, სამხედრო წყაროებს), მით უფრო პოზიტიურად გაშუქდება ახალი ამბები; მეორე მხრივ, მთავრობის ნაკლები აქტიურობა იწვევს კრიტიკული წყაროების მომრავლებას ახალი ამბების გაშუქებისას, რაზეც ასევე გავლენას ახდენს მედიის პოლიტიკური მიკერძოება.^{cxiii} თუმცა, იმის მიუხედავად, რომ რეინტეგრაციის პროგრამის გამჭვირვალობამ შეიძლება დადებითი შედეგები მოიტანოს, ასეთი გზავნილები უფრო ეფექტურია მაშინ, როცა ორიენტირებულია პროგრამის საჭიროების დასაბუთებასა და არა ფაქტების მიწოდებაზე. პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე ორიენტირებულმა გამჭვირვალობამ შეიძლება შეამციროს მხარდაჭერა და ნდობა, ხოლო კონკრეტულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული განმარტებითი ინფორმაცია, როგორც წესი, ამაღლებს მხარდაჭერისა და ნდობის ხარისხს.^{cxiv}

სამშობლოში დაბრუნებულებთან დაკავშირებული გამოცდილებების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა კომუნიკაციის რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა. ცნობიერების ამაღლება და კომუნიკაციის განხორციელება შესაძლებელია საინფორმაციო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ფორუმების საშუალებით, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან წინა ხაზზე მომუშავე პრაქტიკოსები და მიმღები საზოგადოების წევრები.^{cxv} სტრატეგიული კომუნიკაციის კამპანია საზოგადოების განათლებისა და მისთვის მიზანმიმართული ინფორმაციის მიწოდების მიზანს ეფექტურად ასრულებს დამკვიდრებული წარმოდგენების გაბათილებით, მაგალითად, საზოგადოების ინფორმირებით, რომ დაბრუნებული ბავშვები გარემოებების მსხვერპლნი არიან.^{cxvi} სახელმწიფოში მოქმედი რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროგრამის, მისი მიზნებისა და სარგებლის მკაფიოდ განმარტება ასევე ამაღლებს მიმღები საზოგადოების ნდობას. გარდა ამისა, შეიძლება სასარგებლო იყოს მედიასაშუალებებისთვის სენსიტიური საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული ტრენინგის ჩატარება, რომელიც, შედეგად, ხელს შეუწყობს სამშობლოში დაბრუნებულთა წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;^{cxvii} შესაძლოა პროგრამის კომუნიკაციის გეგმა მოიცავდეს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ შემუშავებულ პროაქტიურ და რეაქტიურ ზომებს.^{cxviii} გაეროს უწყებები მნიშვნელოვნად დაეხმარნენ სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობას მედიასთან ურთიერთობის რეგულირებაში და, იმავდროულად, ჟურნალისტებისთვის შეიმუშავეს ტრენინგი სენსაციური სიუჟეტების შექმნის მცდელობების შემცირების მიზნით. ზოგმა მთავრობამ შექმნა იმ მედიასაშუალებების სპეციალიზებული ბაზა, რომლებსაც შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნებული პირებისგან ინტერვიუს აღება და მათ შესახებ დაბალანსებული და ადამიანზე ორიენტირებული ისტორიების გამოქვეყნება.^{cxix}

სირიის ბანაკებიდან მოქალაქეების რეპატრაციის თვალსაზრისით რამდენიმე ქვეყანა ლიდერობს; საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად განვიხილავთ ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, კოსოვოსა და ერაყის გამოცდილებას. სახელმწიფოების უმრავლესობასთან შედარებით, ცენტრალური აზიის ქვეყნებს გამოარჩევთ ღია და პროაქტიური დამოკიდებულება გაეროს უშიშროების საბჭოს N 2178 რეზოლუციის აღსრულებისა და სირიასა თუ ერაყში ნამყოფი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის მიმართ.^{cxx} ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მთავრობებმა შეიმუშავეს ინიციატივები, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა 1 329-ზე მეტი მოქალაქისა და მათი შვილების რეპატრაცია-რეინტეგრაცია. რეპატრაციის ძალისხმევა ახლაც გრძელდება და, 2023 წლის თებერვალში, რეპატრაციის ბოლო ფაზის ფარგლებში, სირიიდან სამშობლოში დაბრუნდა ყირგიზეთის 59 მოქალაქე.^{cxxi} ევროპის ქვეყნებიდან სირიაში პროცენტულად ყველაზე მაღალი კოსოვოს მოქალაქეების რაოდენობა იყო. შესაბამისად, ქვეყანამ ადრეულ ეტაპზევე მოახდინა პროაქტიური რეაგირება თავისი მოქალაქეების რეპატრაციის მიმართულებით და ამჟამად ნახევარზე მეტი მოქალაქე უკვე დაბრუნებულია სამშობლოში. კოსოვოს რეინტეგრაციის პროგრამა საუკეთესო პრაქტიკად ითვლება, რადგან ინტენსიურად უწყობს ხელს მოქალაქეების განსაკუთრებით კი ბავშვების, სამშობლოში დაბრუნებასა და რეინტეგრაციას. ბოლო შემთხვევის ანალიზი ეხება ერაყს, რომელსაც გეოგრაფიული სიახლოვე და ბანაკებში განთავსებული მოქალაქეების რაოდენობა ყველაზე დიდ რისკებს უქმნიდა. რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიმართულებით პროაქტიური ლიდერობის მიუხედავად, ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი სირთულე გამოკვეთს იმ სფეროებს, სადაც რეპატრიანტებს სჭირდებათ სპეციალური მხარდაჭერა.

ყაზახეთის მთავრობის მიერ რეპატრიაციის მცდელობები განხორციელდა „ჟუსანისა“ და „რუსაფას“ ოპერაციების ფარგლებში, რის შედეგადაც 2019 წლიდან მოყოლებული რამდენიმე ეტაპად მოხდა 37 მამაკაცის, 188 ქალისა და 497 ბავშვის რეპატრიაცია.^{cxxii} სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეპატრიანტები გადიან სამ ეტაპს (ადაპტაცია, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია) და ყველა ეტაპზე მიმდინარე პროცესებს, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებასთან თანამშრომლობით, მეთვალყურეობს „სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი“.^{cxxiii} თავდაპირველად რეპატრიანტებს ათავსებდნენ ერთთვიან კარანტინში მანგისტაუს ოლქში მდებარე სპეციალურ ცენტრში, სადაც იღებდნენ სამედიცინო მხარდაჭერას; აქვე მიმდინარეობდა სისხლის სამართლის გამოძიება; ამ პერიოდში 12 ქალს წარედგინა ბრალი ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებში.^{cxxiv} მსჯავრდებული რეპატრიანტები სასჯელს ცალკე დაწესებულებაში იხდიან, სადაც უტარდებათ დერადიკალიზაციის მიზნით შემუშავებული ფსიქოლოგიური და თეოლოგიური ინტერვენცია.^{cxxv} იმ პირების რეაბილიტაციისთვის, რომლებიც არ არიან მსჯავრდებულები და ითვლებიან დაზარალებულებად, ნებადართულია ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, ხოლო რეაბილიტაციის მომსახურებას უზრუნველყოფს თექვსმეტი რეგიონული სარეაბილიტაციო ცენტრი. საზოგადოებაში უწყვეტი ზრუნვის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება ინდივიდის საჭიროებებზე მორგებულ გეგმებს, რეპატრიანტები უზრუნველყოფილნი არიან რელიგიური კონსულტაციით, ფსიქოლოგიური მხარდაჭერით, განათლებისა და გადამზადების მომსახურებით.^{cxxvi} ადგილობრივი ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს და ზედამხედველობს სამშობლოში დაბრუნებულთა აქტივობასა და მდგომარეობას.^{cxxvii}

ყაზახეთის ინიციატივა „დერადიკალიზაციის პერსპექტიულ მიდგომად“ ითვლება, რადგან ორიენტირებულია სამშობლოში დაბრუნებულებსა და არა საზოგადოებაზე, ასევე, ეფუძნება დაბრუნებულთა შორის რადიკალიზაციის გამოხატული ნიშნების შერბილების მიზნით შემუშავებულ თეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ღონისძიებებს.^{cxxviii} სამშობლოში დაბრუნებულებთან სამუშაოდ მობილიზდა და გადამზადდა ათობით თეოლოგი; მათი მომზადებისას ყურადღება გამახვილებული იყო ექსტრემიზმის გამოსატყვის შეზღუდვაზე.^{cxxix} ინიციატივის ამ ასპექტმა კრიტიკა დაიმსახურა, რადგან ყურადღებას ამახვილებდა ე. წ. რადიკალური ქცევის გარეგნულ ნიშნებსა თუ გამოვლინებებზე და არა მათი განმაპირობებელი შეხედულებების შეცვლაზე.^{cxxx} მთავრობის მიერ წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სამშობლოში დაბრუნებული ქალების უმეტესობამ უარყო რადიკალური იდეოლოგია, მათ შორის ადგილობრივი რელიგიური პრაქტიკის გავლისა და მონაწილეობის შემდეგ; ზოგი მათგანი კი ახლა საკუთარი სურვილით ეხმარება სახელმწიფოს დერადიკალიზაციის ღონისძიებებში.^{cxxxi}

სადავოა, რამდენად წარმატებით მოახერხა ყაზახეთის მთავრობის ინიციატივამ ადგილობრივი თემების (საზოგადოების) ჩართვა. ჯეიკობ ზენი აღწერს, როგორ მოახერხა

ყაზახეთის მთავრობამ საზოგადოების წინააღმდეგობის შესუსტება პიარკამპანიის შემუშავების გზით, რომლის მიზანიც იყო, საზოგადოებისთვის გაეცნო რეპატრიაციის მთავრობისეული ხედვა და აღმოეფხვრა პროგრამასთან დაკავშირებით გავრცელებული ეჭვები და მცდარი ვარაუდები. ოპერაციების მიმდინარეობისას მთავრობამ გაავრცელა რამდენიმე მაღალი ხარისხის დოკუმენტური ფილმი, რომელთა საშუალებითაც შეეცადა გაეზარდა ინიციატივის საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ამ დოკუმენტურ ფილმებში წარმოჩენილი იყო ინიციატივის გენდერული ნარატივი, რომელიც ბევრად პოზიტიურად წარმოაჩენდა ქალებსა და ბავშვებს და, იმავდროულად, გამოკვეთდა მთავრობის მიერ უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებას პოტენციურად უფრო საშიში მამაკაცების მიმართ.^{cxxxii}

პოზიტიური ნარატივის გავრცელების მიზნით შერჩეულ მედიასაშუალებებთან მთავრობის მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ადგილობრივ საზოგადოებაში მაინც არსებობს სტიგმა და მომატებული შიში, ბრაზი და უნდობლობა სამშობლოში დაბრუნებულთა მიმართ, რაც ართულებს რეინტეგრაცია-რეაბილიტაციის პროცესების წარმატებას.^{cxxxiii} ასეთი საკითხები ყველა კონტექსტში ფიგურირებს, თუმცა ყაზახეთში საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ორიენტირება და ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება ოპერაცია „Zhusan“-ის ადრეულ ეტაპებზე დეტალური მომზადებისა და კოორდინაციის შედეგია. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ინიციატივა უფრო ფოკუსირებული იყო რეპატრიანტებზე, ვიდრე საზოგადოების ჩართვასა და მის მხარდაჭერაზე (გარდა, ზოგადად, საზოგადოებრივი აზრის შეცვლის მცდელობისა), შესაძლოა, დაიკარგა რეპატრიანტებსა და ფართო საზოგადოებას შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა, რაც შეამცირებდა სტიგმატიზაციას და გააძლიერებდა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მხარდაჭერას.^{cxxxiv}

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ყაზახეთმა პირველმა გამოავლინა რეპატრიაციის პოლიტიკური ნება.^{cxxxv} იმის მიუხედავად, რომ ინიციატივა მომზადდა და განხორციელდა სახელმწიფო დონეზე და მას ზედამხედველობას უწევდა „სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი“, შემუშავების პროცესში ჩართული იყო უამრავი სამთავრობო და რეგიონული უწყება, ხოლო მის განხორციელებაში მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების არაერთი აქტორი. ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს ინიციატივა გამოირჩეოდა სამშობლოში დაბრუნებულთა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე ფოკუსით, რასაც ხელს უწყობდა პროფესიული უნარების გაძლიერებისა და ფსიქოლოგიური თუ ფსიქიკური ტრავმის მკურნალობის პროგრამებით.^{cxxxvi} თუმცა, პროგრამა გააკრიტიკეს დერადიკალიზაციის პოლიტიკის ზედაპირული და კლინიკურად ნაკლებად დამუშავებული განხორციელების გამო.^{cxxxvii} იმის მიუხედავად, რომ ყაზახეთის ინიციატივას გამოარჩევდა მთავრობის მიერ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით წარმატებით განხორციელებული პიარკამპანია,^{cxxxviii} საგულისხმოა სამშობლოში დაბრუნებულთა მიმღები საზოგადოების მწირი კონცენტრაცია და ჩართულობა, რის გამოც შეფერხდა რეპატრიანტების სტიგმატიზაციის პრობლემების აღმოფხვრა ადგილობრივ დონეებზე.^{cxxxix}



რეპატრიაციის მიმართ ტაჯიკეთის მიდგომა რამდენიმე თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავებულია ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების პროგრამებისაგან, რადგან ტაჯიკეთი დაეყრდნო ე. წ. პრაგმატულ სახელმწიფო პროტექციონისტულ მიდგომას.^{cxl} ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ტაჯიკეთმა გადაწყვიტა სირიიდან და ერაყიდან ქალებისა და ბავშვების რეპატრიაცია, რაც ხორციელდებოდა მანამდე ამოქმედებული ამნისტიის პროგრამის პარალელურად, რითაც ცდილობდა, წახეხალისებინა მოქალაქეები, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ტაჯიკეთის მიდგომა ხასიათდება სამოქალაქო საზოგადოების საგრძნობლად შეზღუდული ჩართულობით, რეინტეგრაცია ხორციელდება ადგილობრივი და ტრადიციული შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენებით და გულისხმობს საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით შედარებით ჩაურევლობას.

2014 წლიდან ტაჯიკეთში მოქმედებს ამნისტიის პროგრამა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ნებაყოფლობით დაბრუნდნენ და აღიარეს ISIS-ის წევრობა.^{cxli} თუმცა, ახალი კანონმდებლობით, ქვეყანაში ასევე სისხლის სამართლის პასუხისგება ეკისრებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ისლამურ სახელმწიფოში განწევრიანებას აპირებენ.^{cxlii} 2014 წლიდან სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნდა ტაჯიკეთის 150 მოქალაქე, რომლებიც მონანიების შემდეგ შეინყაღეს.^{cxliii} თუმცა, ხშირი იყო დაბრუნებულთა სტიგმატიზაციისა და გარიყვის შემთხვევები, ნაწილობრივ უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე.^{cxliv} რეპატრიაციის პროცესისაგან განსხვავებით, ტაჯიკეთის მთავრობამ არ შეუწყო ხელი რეპატრიანტების რეინტეგრაციას. ისინი მუდმივად განიცდიან თვალთვალსა და შევიწროებას უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან.^{cxlv}

სირიასა და ერაყში ტაჯიკეთის მოქალაქეობის მქონე ასობით ქალი და ბავშვი იმყოფებოდა. ტაჯიკეთის მთავრობამ, პირველ რიგში, სამშობლოში დააბრუნა ბავშვები, ხოლო ახლახან მიაღწია შეთანხმებას მისი ყველა მოქალაქის, მათ შორის ქალების, რეპატრიაციის შესახებ.^{cxlvi} სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 84 ბავშვი, სხვა პროგრამების მსგავსად, ჯერ სამკურნალოდ მოათავსეს სანატორიუმებში,^{cxlvii} შემდეგ კი გადაანაწილეს 17 სხვადასხვა ბავშვთა სახლსა და სპეციალურ სკოლა-პანსიონში მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა მაქსიმალურად ყოფილიყვნენ ერთმანეთისგან განცალკევებული, რაც, მათი აზრით, დაეხმარებოდა ბავშვებს [ტრავმული] მდგომარეობიდან გამოსვლაში.^{cxlviii} როგორც ცნობილია, ბავშვებს ნაკლებად აქვთ შეხება გარე სამყაროსთან და ნათესავებსაც მათი ნახვის უფლება მხოლოდ ხანდახან ეძლევათ.^{cxlix} ამ ღონისძიების გრძელვადიანი მიზანია, ბავშვებს თავშესაფრების დატოვებისა და ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრების საშუალება მისცეს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახები არ მიმართავენ შესაბამის ორგანოებს ბავშვების წაყვანის განცხადებით. ზოგ ნათესავს არც კი სურს დაბრუნებული ბავშვების მიღება იმის შიშით, რომ ეს უარყოფითად იმოქმედებს მათ შვილებზე, მიიპყრობს უსაფრთხოების სამსახურების მუდმივ ყურადღებას ან უბრალოდ ფინანსურ ტვირთად დააწვებათ.^{cl}

ვინაიდან ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოები შეეცადნენ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას, როგორც ჩანს, ტაჯიკეთის მთავრობამ რეინტეგრაციის პროცესის მონოპოლიზება გადაწყვიტა.^{clii} სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა მინიმალური იყო და მოიცავდა, მაგალითად, რეპატრირებული ბავშვებისთვის მატერიალური დახმარების გაწევას. თუმცა, არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციას არ მიუღია რეპატრიანტებთან აქტივობების განხორციელების ნებართვა.^{cliii} პროცესიდან სამოქალაქო საზოგადოების გარიყვის გამო შესამჩნევი იყო სპეციალისტების, მაგალითად, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ნაკლებობა. ასევე, არასაკმარისად იყვნენ გადამზადებული სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირებიც, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს სამშობლოში დაბრუნებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისთვის.^{cliii}

დაბოლოს, ტაჯიკეთის მთავრობის პროგრამა ასევე შედარებით გამორჩეულია რეგიონში სტიგმატიზაციის დაძლევისა და რეინტეგრაციის მხარდაჭერის პროცესში საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით. სხვა ქვეყნების მსგავსად, თავდაპირველად ეს თემა მედიაში ნეგატიურად შექდებოდა, თუმცა არ ყოფილა მედიასთან ურთიერთობის ან ალტერნატიული ნარატივის გავრცელების რაიმე ერთობლივი ძალისხმევა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა რეპატრიანტების ჰუმანიზაცია.^{cliv} საკუთარი ოჯახის წევრების დაბრუნება-მიღებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ზოგიერთი მშობლის გადაწყვეტილება, არ ეტარებინა შვილები იმ სკოლებში, სადაც რეპატრიანტები სწავლობდნენ, წარმოაჩენს სტიგმატიზაციის დონეს და რეინტეგრაციის სამომავლო (შემდგომ) შეფერხებებს.^{clv}



უზბეკეთის ოპერაცია „მეჰრიმ“ (რაც „სიკეთეს“ ნიშნავს) ხელი შეუწყო 141 ქალისა და 334 ბავშვის რეპატრაციას სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან. უზბეკეთის მიდგომა განსხვავდება სხვა პროგრამებისგან, რადგან ქვეყანამ უარი თქვა მამაკაცი მებრძოლების რეპატრაციაზე, რომლებიც სირიაში დარჩნენ და არ დააპატიმრა არცერთი ქალი და ბავშვი, რომლებიც მიჩნეულ იქნენ კონფლიქტის მსხვერპლად.^{clvi} მაშინ, როდესაც [რეგიონში მოქმედი] სხვა პროგრამები სახელმწიფოზე იყო ორიენტირებული, უზბეკური მოდელი გულისხმობდა რეპატრიანტების ორგანულ სოციალურ რეინტეგრაციას მათთვის ნაცნობ ტრადიციულ სოციალურ გარემოში, რასაც ხელს უწყობდა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის კოორდინაციისა და განხორციელების პროცესში.^{clvii} იმის მიუხედავად, რომ ხშირი იყო სამოქალაქო საზოგადოებაზე ზეწოლის შემთხვევები, უზბეკეთის ახალი მთავრობის რეფორმებისა და რეპატრაციის კუთხით არსებული სირთულეების გადალახვის პროცესის შედეგად გაიზარდა სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ჩართულობა რეპატრაცია-რეინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპზე, თუმცა წარმოიშვა ახალი გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოების აქტორებსა და მთავრობას შორის კოორდინაციის არარსებობის გამო.^{clviii}

ახალი, სპეციალიზებული ობიექტების ფორმირების ნაცვლად ნაცნობ სოციალურ გარემოში რეინტეგრაციამ პროგრამა გააიფა და, დიდი ალბათობით, დაეხმარა კიდევ რეპატრიანტებს, ვინაიდან ადგილობრივ, ტრადიციულ ისლამურ გარემოში აღმოჩენა დაბრუნებულებისათვის რეინტეგრაციის ბუნებრივ ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება იქცეს.^{clix} უზბეკური მოდელი სამეტაპიანი რეინტეგრაციის გამარტივებულ პროცესს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც, პირველ რიგში, ხდება სამედიცინო დიაგნოზთან გამკლავება და სამოქალაქო სტატუსის აღდგენა. რეპატრიანტები მალევე უბრუნდებოდნენ საზოგადოებას; მათ უბრუნველყოფდნენ უწყვეტი ფსიქოლოგიური მხარდაჭერით, ეხმარებოდნენ სამუშაოსა და საცხოვრებლის მოძიებაში, სკოლაში ჩარიცხვასა და ბიზნესის წამოსაწყებად სესხების აღებაში. ტრადიციული სამოქალაქო ინსტიტუტები, როგორცაა „მაჰალა“, მუშაობენ რეპატრიანტებთან, ხელს უწყობენ სოციალური გარიყულობისა და ფსიქოლოგიური დისკომფორტის დაძლევაში, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების სარეაბილიტაციო ცენტრებში მისვლაში, რომლებიც უბრუნველყოფენ ტრენინგებს და მხარდაჭერას დამოკიდებულების დასაძლევად.^{clx}

ყაზახეთის მიდგომის მსგავსად, პროგრამის მხარდაჭერის გაზრდის მიზნით, უზბეკეთის მთავრობამ პროცესში ჩართო მედია, რამაც თავის მხრივ გააძლიერა მთავრობის ნარატივი. უზბეკურმა მედიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მთავრობის მიერ ამ პროგრამის აუცილებელ ჰუმანიტარულ ოპერაციად წარმოჩენის მცდელობას: საზოგადოების თვალში ოპერაცია იქცა სახელმწიფოს მიერ აღსრულებულ შეწყალების აქტად და ეროვნული

ტოლერანტობის სიმბოლოდ. გენდერულ ქრილში ქალების, როგორც ტყუილის მსხვერპლთა, წარმოჩენა შეესაბამებოდა დომინანტურ პატრიარქალურ შეხედულებებს და, შედეგად, ზრდიდა სოციალურ მიმღებლობას.^{clxi} იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება რეპატრაციას ემხრობოდა და არ ყოფილა რეპატრიანტთა მასობრივი გაძევების შემთხვევები, საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია რეპატრიანტებისთვის განუღმა დახმარებამ, როგორებიცაა სამუშაო ადგილების ან სესხების უზრუნველყოფა.^{clxii}

ერაყიდან და სირიიდან დაბრუნებული კოსოვოს მოქალაქეების რაოდენობა შედარებით მაღალია ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა კოსოვო მაინც გამოირჩევა ევროპის ქვეყნებს შორის მოქალაქეთა რეპატრიაციის პროაქტიური ხელშეწყობით.^{clxiii} დაახლოებით 403 კოსოვოელი ჩაერთო ერაყსა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტში, მათ შორის - 148 ქალი და ბავშვი, ხოლო კონფლიქტის ზონაში დაახლოებით 76-81 ბავშვი დაიბადა.^{clxiv} სირიის ბანაკებში განთავსებული კოსოვოელების უმრავლესობა დაბრუნდა სამშობლოში ოფიციალური თუ არაოფიციალური არხებით. სულ დაბრუნებული 242 ადამიანიდან, 2019-2021 წლებში მოხერხდა 121 პირის რეპატრიაცია.^{clxv} დაბრუნებულთა შორის იყო 78 ბავშვი და 33 ქალი; 2021 წლის მონაცემებით, დაახლოებით 9 ქალი და 46 ბავშვი კვლავ რჩება ბანაკებში.^{clxvi}

ითვლება, რომ ბავშვების, ქალებისა და შეზღუდული რაოდენობით მამაკაცი მებრძოლების რეპატრიაციის მიმართ კოსოვოს პროაქტიური მიდგომა ყველაზე ეფექტურია, რომლის დანერგვაც მიზანშეწონილი იქნება სხვა სახელმწიფოებშიც სამართლებრივი, მორალური და გრძელვადიანი უსაფრთხოების მიზნებისათვის.^{clxvii} კოსოვოს რეპატრიაციის პოლიტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს ორ კატეგორიად: სადამსჯელო-აღდგენითი ღონისძიებები გულისხმობს რეპატრიანტების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სასჯელაღსრულების სამსახურებში ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს გათავისუფლების შემდგომ უარყოფითი ზეგავლენისგან დახსნასა და რეინტეგრაციის ხელშეწყობას; სოციალური რეინტეგრაციის მხარდაჭერა გულისხმობს იმ რეპატრიანტების - მაგალითად, ბავშვების - მხარდაჭერას, რომლებიც არ არიან პატიმრობაში და მოიცავს საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობისკენ მიმართულ ღონისძიებებს.^{clxviii} ამრიგად, ეს მიდგომა ცდილობს რამდენიმე სხვა მიდგომის კომბინირებას, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება უფრო ფართო კონტრტერორისტული სტრატეგიის ფარგლებში ვალდებულებების შესრულებისას.^{clxix} კოსოვომ პასუხისმგებაში მისცა ყველა სრულწლოვანი დაბრუნებული პირი, თუმცა პირობითი სასჯელი შეუფარდა ყველა დაბრუნებულ სრულწლოვან ქალს; ქვეყანა, ასევე, უწყვეტად უსვამს ხაზს რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის აუცილებლობას.^{clxx} ამ მიდგომას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ ნარატივში რეპატრიაციის პოლიტიკა მორალურ და კონსტიტუციურ ვალდებულებადაა წარმოჩენილი, ასევე, გამოკვეთილია სამშობლოში დაბრუნებული პირების სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვის აუცილებლობა და ის ფაქტი, რომ ისინიც იმსახურებენ რეაბილიტაციის შანსს გადატანილი მძიმე ტრავმის შემდეგ.^{clxxi} კოსოვოსა და სირიას შორის მგზავრობის შედარებითი სიმარტივე შეიძლება განაპირობებდეს

პროაქტიურ რეაგირებას და, ამ გზით, პროცესის გაკონტროლების მცდელობას; ამასთან რეპატრიაციის პოლიტიკა წარმოაჩენს კოსოვოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ავტორიტეტს და შეიძლება ხელი შეუწყოს საერთაშორისო ლეგიტიმაციის მიზნის მიღწევასაც.^{clxxii} იმის მიუხედავად, რომ სტრატეგია სპეციალურად შედგენილ, ინფორმირებულ სამოქმედო გეგმებს ეყრდნობოდა და სხვა სახელმწიფოებისათვის სანიმუშოდ ითვლებოდა, იგი მაინც იქცა კრიტიკის ობიექტად, რადგან პრაქტიკაში მთავრობა არათანმიმდევრული აღმოჩნდა.^{clxxiii}

რეპატრიაციის სტრატეგიას რამდენიმე დეპარტამენტი ახორციელებს, თუმცა მას ძირითადად წარმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამმართველო, ხოლო ზედამხედველობას უწევს პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელი სახელმწიფო კოორდინატორი.^{clxxiv} კოსოვომ მოახერხა სამთავრობო უწყებებს შორის რეაგირების კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო ფსიქიატრიულ მკურნალობას, საცხოვრებელს, განათლებისა და რეპატრიანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობს სხვა სოციალურ მომსახურებს.^{clxxv} ძალადობრივი ექსტრემიზმის ინიციატივების წინააღმდეგ მიმართული ფინანსების უმეტესობა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოდის. უცხოელ დონორებზე ზედმეტმა დამოკიდებულებამ გაართულა მუნიციპალიტეტებისთვის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროექტების განხორციელება; დაფინანსების საკითხს დაერთო შესაფერისი სპეციალიზაციის მქონე ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მწვავე ნაკლებობაც.^{clxxvi} აღიარებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეინტეგრაციაში და არაერთი მაგალითი მოწმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკვანძო როლს რეპატრიანტებისთვის მომსახურების მიწოდებისა და მათი რეინტეგრაციის პროცესში.^{clxxvii} თუმცა, ბევრიც ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების კოორდინაციისა და ჩართულობის მხრივ სერიოზული ხარვეზები შეინიშნება.^{clxxviii}

მიღებისას რეპატრიანტებს ხვდებოდნენ სოციალური მუშაკები, ექიმები და ფსიქოლოგები, რათა შეეფასებინათ მათი გადაუდებელი საჭიროებები, შემდეგ კი პოლიციელები ამოწმებდნენ მათ მოქალაქეობას. არ ხდებოდა დაუყოვნებლივი დაკითხვა; მოგვიანებით ყველა რეპატრიანტის შეფასებას ახორციელებდა სამართალდამცავი უწყება.^{clxxix} რეპატრიანტების მიღებისას პოლიცია აეროპორტში აკავებდა ყველა მამაკაცს, ხოლო ქალები და ბავშვები გადაჰყავდათ კარანტინში, მიმღებ ცენტრში, სადაც ამოწმებდნენ ინფექციურ დაავადებებზე. ასევე, სამედიცინო შემოწმებასა და ფსიქიატრიულ შეფასებას უტარებდა პრაქტიკოსთა მცირე ჯგუფი, რომელიც მიმღებ ცენტრებში 72 საათის განმავლობაში რჩებოდა.^{clxxx} სამშობლოში დაბრუნებული პირები ავლენდნენ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომებს, ამიტომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ჯგუფი მიმღებ ბანაკებში ინდივიდუალურ სესიებს მართავდა.^{clxxxi} უმრავლესობა, ვინც არ გაუსამართლებიათ, ოჯახებში დააბრუნეს;^{clxxxii} ვისაც მიმღები ოჯახი არ ჰყავდა, მთავრობის მიერ ნაქირავებ სახლებში განათავსეს.^{clxxxiii} იმის მიუხედავად, რომ დაუყოვნებლივ არავინ დაუკავებიათ, 32 ქალზე სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყო გამოძიება; უმეტესობას შეეფარდა პირობითი სასჯელი და დაენიშნა სავალდებულო ფსიქოლოგიური მკურნალობა ტერორისტული ჯგუფის წევრობის აღიარების შემდეგ.^{clxxxiv}

ოჯახის გაერთიანებამ რეპატრიანტებს საზოგადოებაში ხელახლა ასიმილაციის წინაპირობა შეუქმნა.^{clxxxv} მიმღები ცენტრებიდან გამოსვლის შემდეგ რეპატრიანტები უზრუნველყოფილნი იყვნენ საცხოვრებლით, მათ შვილებს სკოლებში არეგისტრირებდნენ, აძლევდნენ გადაუდებელი ფინანსური დახმარების პაკეტს და უტარებდნენ საკონსულტაციო სესიებს.^{clxxxvi} რეპატრიანტებისთვის ასევე ხელმისაწვდომი იყო 24/7 სატელეფონო კონსულტაცია, რაც ეხმარებოდა ახალ გარემოსთან შეგუებასა და ბავშვების ქცევის მართვაში. ეს მიდგომა ეფექტური აღმოჩნდა დაძაბულობის მართვის თვალსაზრისით.^{clxxxvii} ბავშვებს უტარდებოდათ თამაშისა და არტ-თერაპია, რაც ტრავმასთან გამკლავებასა და დაძაბულობის მოხსნას უწყობდა ხელს.^{clxxxviii} ზოგი ოჯახი ჩართული იყო სოციალური კეთილდღეობის სქემაში, რომელიც ითვალისწინებდა ძირითადი ხარჯების დასაფარად საჭირო ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.^{clxxxix} იმის მიუხედავად, რომ კოსოვოში ეფექტურად მოახერხეს ბავშვების სასკოლო სისტემაში ჩართვა, მთელი ძალისხმევით ფოკუსი იყო მხოლოდ რეგისტრაცია და არა ბავშვების მიერ სკოლაში მიღწეული პროგრესი და რეინტეგრაცია. მიღებული შემწეობა, დიდი ალბათობით, ოჯახებისთვის არასაკმარისია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებიდან შემოსავლის მიღების შანსები მწირია.^{cx} ზოგ რეპატრირებულ ქალს ჩაუტარდა კერვისა და კულინარიის კურსები დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, თუმცა კურსების სტრუქტურული [გენდერული] დამოკიდებულებების საფუძველზე სტრუქტურირება და მოვლა-ზრუნვასთან დაკავშირებული სამუშაოს აკრძალვა შესაძლებლობებს ზღუდავს.^{cxci} მუნიციპალიტეტები უგულვებლყოფილია და არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები, რაც ნიშნავს, რომ არ აქვთ რეპატრირებული ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა და არ ჰყავთ სათანადოდ გადამზადებული პერსონალი.^{cxcii} სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს რეაბილიტაციის პროგრამები, თუმცა ისინი არ არის გათვლილი კონკრეტულად ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. იმამების საშუალებით იდეოლოგიური რწმენის გაქარწყლების ძალისხმევამ საპირისპირო შედეგი გამოიღო, როდესაც პატიმრებმა გაიგეს, რომ იმამები სახელმწიფომ შეარჩია.^{cxiii} ასევე არ არსებობს გათავისუფლების შემდგომი პროგრამები ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშესაწყობად.^{cxiv}

სხვა ქვეყნებთან შედარებით კოსოვოს საზოგადოებაში რეპატრიაციას ბევრი არ ეწინააღმდეგებოდა. მოსახლეობის დაახლოებით 47 % თანახმა იყო უცხოელი მებრძოლების, ხოლო 70 % - ბავშვების სამშობლოში დაბრუნებაზე; იგივე არ ითქმის ევროპის სხვა ქვეყნებზე, სადაც ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა მამაკაცების, ქალების ან ბავშვების სამშობლოში დაბრუნებას.^{cxv} ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სადაც რეპატრიანტებს ჰქონდათ ორმაგი მოქალაქეობა და მათი „ნამდვილი“ მოქალაქეობა ეჭვქვეშ დადგა, კოსოვოში რეპატრიანტებს უმრავლესობა მოქალაქეებად თვლიდა. საზოგადოების რეაგირების მართვის მიზნით, მთავრობამ არ გაასაჯაროვა 110 მოქალაქის რეპატრიაციის შესახებ გადაწყვეტილება რეპატრიანტების სამშობლოში დაბრუნებამდე.^{cxvi} საზოგადოების ნდობის მოპოვების პროცესში წარმატებული ნაბიჯი იყო სპეციალურად რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის კოორდინაციის განყოფილების შექმნა.^{cxvii} მთლიანობაში, გამონკვევების მიუხედავად, კოსოვოს მაგალითიდან ჩანს, რომ რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება შესაძლებელია.^{cxviii}

საერთო ჯამში, [რეპატრიაციის პოლიტიკის მიმართულებით], კოსოვო სანიმუშო ევროპული ქვეყანაა, რომელმაც დანერგა სირიის ბანაკებიდან თავისი მოქალაქეების რეპატრიაციისა და მათი რეინტეგრაცია-რეაბილიტაციის პროექტიური მიდგომა. რეპატრიანტების გასამართლებისას კოსოვომ, ძირითადად, გენდერული მოტივით იხელმძღვანელა; დაკავებული რეპატრიანტების რეაბილიტაციის მიმართულებით ნაკლები წინსვლა ყურადღებას საჭიროებს. რეპატრიანტების მიღების მეთოდმა და ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებაზე აქცენტმა დაბრუნებულებს აარიდა დამატებითი ტრავმა იმ პროგრამებისაგან განსხვავებით, რომელთა ფარგლებშიც დაბრუნებისთანავე ხდებოდა ოჯახების განცალკევება. ფართო ოჯახების საშუალებით რეინტეგრაციის მართვამ [რეინტეგრაციისათვის] მყარი საფუძველი მოამზადა, ნარმატებით უზრუნველყო ბავშვების დარეგისტრირება სკოლებში და რეპატრირებული ოჯახებისთვის ჯანმრთელობის დაცვისა და ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა. ამის მიუხედავად, მუნიციპალურ დონეზე პროგრამის უწყვეტ შესრულებას აფერხებდა სუსტი კოორდინაცია და რესურსების ნაკლებობა; არც სამოქალაქო საზოგადოება იყო ჩართული სასურველი ხარისხით.

ერაყს ყველაზე მეტი მოქალაქე ჰყავს სირიაში. დაახლოებით 30 000 ერაყელი განთავსებულია ალ-ჰოლის ბანაკში და მათ უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენენ.^{ccix} ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული 300 000 პირი განთავსებულია ერაყის ბანაკებში. ჯამში 6 მილიონი ერაყელი გახდა იძულებული ომის გამო საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. ზოგი სახლში დაბრუნდა, ზოგიც გადასახლდა. თუმცა, 1.3 მილიონი ისევ ბანაკებში იყო განთავსებული.^{cc} ერაყი ჩაერთო ისლამურ სახელმწიფოსთან სავარაუდო კავშირების მქონე ერაყელი დევნილებისა და სირიიდან ისლამურ სახელმწიფოსთან ასოცირებული ოჯახების რეპატრიატების რეინტეგრაციაში. სირიაში მყოფ პირებთან დაკავშირებით ერაყის მთავრობამ აღნიშნა, რომ მოქალაქეებს 2018 წლის დასაწყისში დააბრუნებდა, ხოლო რეპატრიაცია დაიწყებოდა 2021 წლის მაისში. მას შემდეგ ალ-ჰოლის ბანაკიდან განხორციელდა 3 749 ერაყელის რეპატრიაცია სარეაბილიტაციო ცენტრ ჯედაჰ-1-ის მეშვეობით.^{ccii} ერაყის რეაგირება რეპატრიაციაზე განპირობებულია პროაქტიური და გრძელვადიანი მიდგომის დანერგვის სურვილით; ასევე, ნაწილობრივ, ბანაკებთან გეოგრაფიული სიახლოვისა და ამ სიახლოვით სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის შექმნილი მაღალი რისკების გამო. ფორმალური პროცედურის გარეშე, ბევრი თავად გადაწყვეტდა დაბრუნებას.^{cciii} იმის მიუხედავად, რომ ერაყს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული რეპატრიაციისადმი გრძელვადიანი მიდგომა, არ არსებობს ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ოჯახების რეინტეგრაციის ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგია.^{cciii} მიდგომა ძირითადად კონკრეტულ ვითარებაზეა მორგებული (ad hoc), მას არ გააჩნია მკაფიო სამართლებრივი საფუძველი და ორიენტირებულია დაბალი რისკის შემცველ შემთხვევებზე. თუმცა, საჭირო იქნება უფრო სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი მიდგომა, განსაკუთრებით უფრო რთული შემთხვევებისთვის.^{cciv}

ერაყის მთავრობა ხელმძღვანელობს ერაყელების დაბრუნების პროცესს. რეინტეგრაციას მეტწილად წარმართავენ საზოგადოებრივი (სათემო) აქტორები, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან სხვადასხვა ინიციატივების ხელშეწყობაში, დაფინანსებასა და მხარდაჭერაში.^{ccv} რეპატრიაცია მოქცეულია „სირიიდან/ერაყიდან მესამე ქვეყნის მოქალაქე დაბრუნებული პირების მიმართ გაეროს მხარდაჭერის გლობალური ჩარჩოს“ ფარგლებში. ჩარჩო უზრუნველყოფს „მთლიანად გაეროს“ ინტეგრირებულ ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას სამმხრივი მიდგომის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ისლამური სახელმწიფოს წევრ ექვმიტანილთა გასამართლებას, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის გავლენის ქვეშ მყოფთა რეაბილიტაციას და წარმოშობის თემებში მათი რეინტეგრაციის მხარდაჭერას.^{ccvi} სირიიდან რეპატრიაციის მიმართ ერაყის მიდგომის ფარგლებში ამჟამად პრიორიტეტი ენიჭება იმ პირების რეპატრიაციას, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სავარაუდოდ არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მებრძოლვებად მიჩნეულ პირებს

სიკვდილით ან თავისუფლების უვადო აღკვეთით სჯიან და, აქედან გამომდინარე, ისინი არ წარმოადგენენ ერაყის საზოგადოებაში საბოლოო რეინტეგრაციის კანდიდატებს.^{ccvii} „ჯედაჰ-1-ის“ დატოვებაზე თანხმობის მიღების პროცესი იმართება ადგილობრივ დონეზე. უსაფრთხოების დამონშება ხდება პროვინციებში, სამიზნე ტერიტორიებზე, ხოლო მერი, თემის ლიდერები და თემები ხელს უწყობენ რეინტეგრაციის პროცესს.^{ccviii} რეინტეგრაციის შემდგომ რეპატრიანტები, სხვა ქვეყნების პროგრამებთან შედარებით, ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობენ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ერაყში რეპატრიაციის პროცესი ხორციელდებოდა ქვეყნის შიგნით დევნილთა რეინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ასევე სარგებლობდა საერთაშორისო მხარდაჭერით და საზოგადოების ჩართულობით.^{ccix}

რაც შეეხება სირიიდან რეპატრიაციის პროცესს, მიღებისა და რეაბილიტაციის ფაზები გაერთიანებულია გარდამავალ პერიოდში, როცა ხდება ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რეპატრიანტებისთვის ჯანდაცვის მომსახურების განწევა და ერაყში ცხოვრებასთან ადაპტაციისათვის თუ ალ-ჰოლის ბანაკში არსებული მკაცრი პირობებით გამონვეულ ზიანთან გამკლავებისათვის საჭირო უნარების გამომუშავება. ერაყელებს შეუძლიათ მიუთითონ, სურთ თუ არა ერაყში რეპატრიაცია; შემდეგ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები წარმართავენ სკრინინგის (შემოწმების) პროცედურას, რათა დამონშდეს, რომ ინდივიდი არ არის დანაშაულში ეჭვმიტანილი.^{ccx} ალ-ჰოლის ბანაკის დატოვების შემდეგ რეპატრიანტები გადაჰყავთ ფედერალურ დონეზე კონტროლირებად ბანაკში ჯედაჰ-1 (ნინევიას პროვინცია), სადაც მინიმუმ რამდენიმე თვეს ატარებენ. ამ პერიოდის განმავლობაშიც ხდება საზოგადოებაში დაბრუნებამდე მათი უსაფრთხოების შემოწმება და სპონსორის იდენტიფიცირება.^{ccxi} იმის მიუხედავად, რომ ჯედაჰ-1-ში რეპატრიანტებს სამ-ექვს თვეს აჩერებენ, ბევრ მათგანს უფრო ხანგრძლივი პერიოდით უწევს იქ ყოფნა, რასაც განაპირობებს სამოქალაქო დოკუმენტაციის მიღების სირთულე; ხანდახან რეპატრიანტებს არ სურდათ ბანაკის დატოვება, სანამ მათი ოჯახის წევრებიც არ დაბრუნდებოდნენ ალ-ჰოლის ბანაკიდან.^{ccxii} რეპატრიანტებისთვის ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, მათ შორის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, იურიდიული მომსახურება, დროებითი ანაზღაურებადი სამუშაო და განათლება ბავშვებისთვის. თუმცა, ეს მომსახურებები შეზღუდულია და უზრუნველყოფილია ჰუმანიტარული რეაგირების ფარგლებში. მათი მიზანი არ არის იდეოლოგიის ცვლილებაზე ორიენტირებული ინიციატივების მეშვეობით ისლამური სახელმწიფოს გავლენისაგან გათავისუფლების ხელშეწყობა.^{ccxiii} გარდა ამისა, ჯედაჰ-1-ს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს, როგორებიცაა: შეზღუდული საბაზისო სერვისები, საკვებისა და სამედიცინო დახმარების სიმწირე, ბავშვებისა და ქალების სპეციფიკური საჭიროებებისთვის განკუთვნილი სპეციფიკური მომსახურებების ნაკლებობა.^{ccxiv} ამის მიუხედავად, ბანაკში განხორციელებულმა აქტივობებმა განაპირობა რეპატრიანტებს შორის დადებითი დამოკიდებულებითი და ქცევითი ცვლილებები, რაც, ნაწილობრივ, გამომწვეულია ალ-ჰოლში ცხოვრებასთან შედარებით უსაფრთხოების მაღალი ხარისხითაც.^{ccxv}

ჯედაჰ-1-ის დატოვების შემდეგ რეპატრიანტები, როგორც წესი, წარმოშობის ადგილს უბრუნდებიან, თუმცა, გარკვეული უმცირესობა საცხოვრებლად სხვა ადგილს ირჩევს. უსაფრთხოების შემოწმება ხდება პროვინციის დონეზე - სამიზნე პროვინციებში, ხოლო მერი და თემის ლიდერები კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში ცდილობენ დაადგინონ, არსებობს თუ არა რეპატრიანტების დაბრუნების ხელისშემშლელი ინფორმაცია.^{ccxvi} იმის მიუხედავად, რომ უსაფრთხოების შემოწმების პროცესი ითვალისწინებს ოჯახების რეინტეგრაციის მექანიზმს, პროცესში არსებული ხარვეზები, როგორებიცაა არასანდო წყაროები და მწირი მონაცემთა ბაზები, დოკუმენტაციის არარსებობა და კორუფცია, ართულებს ამ ადამიანების უსაფრთხოებაში დარწმუნებას და ვერ იცავს მათ უსამართლო დაკავებისაგან.^{ccxvii} კონკრეტულ ტერიტორიაზე მოქმედი წესების შესაბამისად, ზოგჯერ სოფლის გამგებელი გასცემს ამ ადამიანების სამშობლოში დაბრუნების წერილობითი თანხმობას; ხანდახან ამის შესახებ აცნობებენ მსხვერპლთა ოჯახებს და იმართება მცირე ზომის თემის შეხვედრები პრობლემების განხილვა-მოგვარების მიზნით. ტომისა (თემისა) და ადგილობრივი ლიდერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების მიმღებლობის გაზრდასა და რეპატრიანტების სამშობლოში დაბრუნებისადმი დადებითი განწყობის გაღვივებაში.^{ccxviii} ოჯახების რეინტეგრაციის ხელშეწყობის ერთ-ერთი მექანიზმია დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდა, თუმცა პროცესი გაჭიანურებულია დოკუმენტაციის არარსებობისა და დაზარალებულთათვის დაფინანსების გადანაწილების შეზღუდული სამთავრობო რესურსების გამო.^{ccxix} საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ რეინტეგრაციას ხელს უწყობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა რეპატრიანტთა უმეტესობას მათი მხარდაჭერა არ მიუღია; უმრავლესობას თვითონ თემის წევრები ეხმარებიან საკვებითა და საბნებით. რეპატრიანტთა დიდ ნაწილს გაუჭირდა დოკუმენტების მოპოვება, რამაც არათანაზომიერად იმოქმედა ქალებსა და ბავშვებზე, რადგან მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ის მომსახურებები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა ერაყელებისთვის. რეპატრიანტები რეინტეგრაციის ბარიერებს აწყდებიან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე; ბავშვები ვერ დადიან სახელმწიფო სკოლებში. სამოქალაქო დოკუმენტაციის განახლების დაბრკოლებები მნიშვნელოვნად აფერხებს როგორც რეაბილიტაციას, ისე რეინტეგრაციას და, გრძელვადიან პერსპექტივაში, არსებობს რისკი, რომ შეიარაღებული დაჯგუფებები ბოროტად ისარგებლებენ რეინტეგრაციის პროცესის ხარვეზებითა და არსებული უკმაყოფილებით.^{ccxx}

ერაყში ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ოჯახების რეინტეგრაციის პროცესში მთავარ სირთულეს წარმოადგენს სტიგმატიზაცია და საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა. საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ვრცელდება არამხოლოდ სირიიდან რეპატრირებული მოქალაქეების, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ ბანაკებში დაკავებული ადამიანების რეინტეგრაციაზეც. რეინტეგრაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ თემები, რომლებშიც რეპატრიანტები უნდა დაბრუნდნენ, თვითონაც არამდგრადი, განუვითარებელი და სახელმწიფოს მხრიდან მარგინალიზებულია.^{ccxxi} საზოგადოებაში გამორჩეულად სტიგმატიზებულია ისლამური

სახელმწიფოსთან თანამშრომლობაში ბრალდებული ადამიანი: მათ სახლებზე ტოვებენ შეურაცხმყოფელ წარწერებს, ძალადობენ ან ქონებას უნადგურებენ. სტიგმატიზაციის შედეგია ასევე ეკონომიკური და სოციალური გარიყულობაც, რაც ნიშნავს, რომ ოჯახებს უჭირთ დასაქმება და შვილების სკოლაში ჩარიცხვა. კიდევ უფრო მეტ ბარიერებს აწყდებიან ქალები და ოჯახები, რომლებსაც ქალები მართავენ. ზოგ ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების უფროსებმა საჯაროდ თქვეს უარი ოჯახების რეინტეგრაციაზე; ზოგან აკრძალვა მუდმივია, ზოგან კი - დროებითი.^{ccxxii}

სტიგმატიზაციის მასშტაბისა და პროლემების მოგვარების მიზნით ამოქმედდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სათემო პროექტები. პროექტი „C2RI“ ორიენტურებული იყო საზოგადოების გაჯანსაღებაზე კომპეტენციების განვითარების, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით. პროექტი მხარს უჭერდა შერიგების სათემო მცდელობებს, ხელს უწყობდა შეხვედრებს ეროვნულ მთავრობასა და თემის ლიდერებს შორის, რომელთა მიზანიც იყო საზოგადოების მიმღებლობის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში თემის ლიდერებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ მედიაციისა და რეინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგი. ოჯახების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობისათვის სამიზნე ტერიტორიებზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 801 სახლს. პროექტმა წარმატებით მოახერხა რეინტეგრაციისადმი მასპინძელი (მიმღები) საზოგადოების დამოკიდებულების დადებითად შეცვლა.^{ccxxiii} ერაყში მოქმედებს ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ადამიანების რეინტეგრაციის სხვადასხვა ადგილობრივი მექანიზმი, მათ შორის, შეთანხმებები ტომებთან, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია სამშობლოში დაბრუნება გარკვეული პირობებით; ხანდახან ადგილობრივი ტომის ლიდერი ხდება გარანტი იმისა, რომ კონკრეტული ოჯახი აღარ არის დაკავშირებული დაეშთან. ადგილობრივმა „მშვიდობის კომიტეტებმა“, რომლებიც მათსავე თემებში მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ, წარმატებით მოახერხეს რელიგიათაშორისი შემწყნარებლობის ხელშეწყობა, რითაც მოაგვარეს ადგილობრივი კონფლიქტები და ხელი შეუწყვეს ოჯახების სამშობლოში დაბრუნებას. იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი „მშვიდობის კომიტეტი“ პერსპექტიული მექანიზმია, ისინიც გარკვეული სირთულეებს აწყდებიან: მთავრობისგან დაფინანსების ნაკლებობა, ტომების ლიდერები და უსაფრთხოების სამსახურები რომელთაც არ სურთ მათთან თანამშრომლობა; შესაბამისი მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის არარსებობა და საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა.^{ccxxiv} ეს ინიციატივები რეინტეგრაციის მხარდაჭერის ძალისხმევის მაგალითებს წარმოადგენს და, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად რეპატრიანტთა რეინტეგრაციის მიზნით არ არის შექმნილი, მაინც ნათელყოფს საზოგადოების აქტიური ჩართულობის იმგვარ ფორმებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია რეინტეგრაციის ხელშეწყობა.



ჩაკომენდაციები

წინამდებარე ანგარიშში მიმოვიხილეთ სირიის ბანაკებში მყოფი მოქალაქეების რეპატრიაცია-რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები; ჩავატარეთ რამდენიმე შემთხვევის ანალიზი, რათა დეტალურად განგვემარტა ეს საკითხი და განგვეხილა საქართველოსთან მიმართებით. შედეგად, ამ მიმართულებით დაკავშირებით რეკომენდაციას ვუწევთ შემდეგ მიდგომას:



ჩაკაუზიანი ინსტიტუციური და ეროვნული სიძლიერის წინაშეაყენება

სახელმწიფოებმა აღიარეს რეპატრიაციის ინსტრუმენტული სარგებლიანობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ინსტიტუციური სიძლიერისა და მათი ეროვნული თვითმყოფადობის დემონსტრირების თვალსაზრისით. რეინტეგრაციის მხარდაჭერამ შეიძლება საქართველო წარმოაჩინოს, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ლიდერი [ამ მიმართულებით], გამოკვეთოს სახელმწიფოს უნარი, წარმატებით გაუმკლავდეს უსაფრთხოების რისკებს და ხაზი გაუსვას საქართველოს, როგორც საკუთარი მოქალაქეების უფლებების დამცველი და მათზე მზრუნველი საიმედო ქვეყნის ეროვნულ თვითმყოფადობას. სულ უფრო მეტი სახელმწიფო აცნობიერებს რეპატრიაციის ხელშეწყობის აუცილებლობას და ყველაზე მეტ სარგებელს სწორედ ის ქვეყნები მიიღებენ, რომლებიც მოახდენენ პროაქტიურ და კოორდინირებულ რეაგირებას.



ჩაკაუზიანი ინსტიტუციური და მდგრადი სტრატეგიის შემუშავება

იმის მიუხედავად, რომ ზოგ სახელმწიფოს მოუწია სამშობლოში დაბრუნებულთათვის სპეციფიკური (ad hoc) პროგრამის შემუშავება, საუკეთესო პრაქტიკა მოწმობს, რომ აუცილებელია ჰოლისტური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება რეპატრიაციის დაწყებამდე რეპატრიანტების მიღების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იყოს რამდენიმე ძირითადი პრინციპი: პირველ რიგში, ბავშვებისათვის მიყენებული [სავარაუდო] ზიანის ფონზე, აუცილებელია დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა და „ზიანის მიუყენებლობის“ პრინციპის ჩართვა ინტერვენციულ ღონისძიებებში. მეორე, პროგრამის ყველა ასპექტში უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული და ასაკობრივი განსხვავებები; მესამე, რაც ყველაზე მთავარია, ღონისძიებები უნდა იყოს ინდივიდუალურად მორგებული თითოეულ ადამიანზე და გამოიყოს გრძელვადიანი მდგრადი ვალდებულების შესასრულებლად საკმარისი რესურსები.

◆ **წითელი საზოგადოებრივი მიღმონისა და მრავალწახივი მიღმონის დანერგვა**

სირიის ბანაკებიდან რეპატრიანტების რეინტეგრაციის გამონვევა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მოითხოვს უწყებების, სამთავრობო დეპარტამენტებისა და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის თანამშრომლობას. მთავარობას ეკისრება წამყვანი როლი ამ თანამშრომლობის წარმატების, მხარდაჭერისა და შესაბამისი რესურსების გამოყოფის მიმართულებით: შესაფერისი კომპეტენციის მქონე ექსპერტების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და თავმოყრა; პროცესში ჩართულ სხვადასხვა აქტორს შორის ნდობის გაღვივების მიზნით ინფორმაციის გაზიარების ხელშემწყობის სისტემების ჩამოყალიბება; მთავრობასა და ადგილობრივ აქტორებს შორის ორმხრივი დიალოგის უზრუნველყოფა; პროფესიული ქსელების ფორმირება და პროფესიონალთა გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარება; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა შესაძლებლობების დახვეწის მიზნით.

◆ **კინაქიკოსებთან თანამშრომლობა, მდგრადი და ჰოლისტური ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად**

პროგრამის ძირითადი ნაწილი უნდა მოიცავდეს რეპატრიანტების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. რთული შემთხვევების გათვალისწინებით საჭირო იქნება მულტიმოდალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა პროფესიონალების შეკრებისა და გადამზადების გზით. დრო სჭირდება იმ ძლიერი ტრავმის დაძლევის, რომელიც სამშობლოში დაბრუნებულმა ბევრმა ადამიანმა გადაიტანა, ამიტომ საჭიროა გრძელვადიანი მხარდაჭერა. ზოგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ, ჩამოსვლისთანავე ხდება ქალი და ბავშვი რეპატრიანტების ერთმანეთისგან განცალკევება. ამან შეიძლება დამატებითი ტრავმა მიაყენოს ბავშვებს და ხელი შეუშალოს მათ რეინტეგრაციას, ასევე, მაგალითად, შეარყიოს ბავშვების ნდობა მომსახურების მიმწოდებლებისადმი. იმის მიუხედავად, რომ ქალებისა და ბავშვების საქმეებს განსხვავებული დამუშავება სჭირდება და შეიძლება მოხდეს რეპატრიანტი ქალების გასამართლება, მათი მიღების პროცესი უნდა წარიმართოს ბავშვის ფაქტორის გათვალისწინებით. თუ მათი განცალკევება აუცილებელია, ეს პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რასაც შესაძლოა დასჭირდეს მიღების პერიოდის გახანგრძლივება.

◆ **პროცესში ოჯახების ჩართვა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის განხორციელება**

არსებობს გამონაკლისები, როდესაც არ შეიძლება პროცესში გაფართოებული ოჯახების ჩართვა, თუმცა, ოჯახის ჩართვა სასურველია, როცა საფრთხე არ ექმნებათ სამშობლოში დაბრუნებულებს. პრაქტიკოსებს შეუძლიათ დაეხმარონ ოჯახებს ტრენინგითა და სხვა სახის მხარდაჭერით, რაც ხელს შეუწყობს რეინტეგრაციის პროცესს: მაგალითად, ტრავმის დაძლევის, საოჯახო საქმეების, იდენტობის განვითარების პროცესში „საოჯახო ნარატივის“ შემუშავების მიმართულებით განხორციელებული მხარდაჭერა. ასევე, აუცილებელია სამშობლოში დაბრუნებულებსა და საზოგადოებას შორის კავშირების დამყარება, მაგალითად მენტორების, კლუბების და რელიგიური შეხვედრების საშუალებით.

◆ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის შეფუთვა და განხორციელება

ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია რეპატრიაციისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებისა და სტიგმის შემცირების გზით რეინტეგრაციის ხელშესაწყობის საუკეთესო საშუალებაა. მთავრობამ პროაქტიურად უნდა გადმოსცეს ნარატივი. პროცესში ასევე ჩართული უნდა იყოს მედია, რომელსაც უნდა მიეწოდოს საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია. საზოგადოებისათვის სანდო გამავრცელებლების გამოყენებამ და რეპატრიანტების „გამოსწორების შესაძლებლობის“ წარმოჩენამ შეიძლება ხელი შეუწყოს სტიგმატიზაციის შემცირებას. პროგრამის გამჭვირვალობა კი, როგორც წესი, განაპირობებს ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას: ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული განმარტებაზე - რატომ არის ასეთი პოლიტიკა საჭირო და რატომ მიიღება გარკვეული გადაწყვეტილებები.

- i „ISIS“-თან აფილირებული: ქალებისა და ბავშვების დაბრუნებასა და რეინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები [EN/AR] <https://reliefweb.int/report/iraq/affiliated-isis-challenges-return-and-reintegration-women-and-children-enar>
- ii დოქტორი, ოსტინ ს.; ინგრემ, ჰარორო ჯ.; მარგოლინ, დევორა; მაინს, ენდრიუ; ვიდინო, ლორენცო; „სახელმწიფო ანტიტერორისტული ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და განათლების ცენტრი“; და პროგრამა ექსტრემიზმის შესახებ, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ოჯახების რეინტეგრაცია: აშშ-თვის საუკეთესო პრაქტიკის ჩარჩო“, (2023 წ.). მოხსენებები, პროექტები და კვლევები. გვ. 1.
- iii ბანი, მერი, ენრიკა კრისტოფერი, ქლოე პოლუტნიკ-სმიტი, ჯონ მაკკოი, როზი ჰანევი, მაიქლ კინგი, ბ. ჰედი ელისი, ემა კარდელი და სტევან უეინი. „ძალადობრივი ექსტრემისტული გარემოდან დაბრუნებული ქალებისა და ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია: მოკლე მიმოხილვა პროგრამისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნებისთვის“. ტერორიზმი და პოლიტიკური ძალადობა (2023 წ.), გვ. 1-33; <https://www.ohchr.org/en/statements/2023/03/children-north-east-syria-must-be-urgently-repatriated-un-experts#:~:text=The%20two%20largest%20locked%20camps,under%20the%20age%20of%20five>.
- iv „ISIS“-ის ნაგრევებში: ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში დაკავებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლა“, კარენ მ. სუდკემპი, ნეითან ვესტი, ერიკ ე. მიულერი, ტოდ ს. ჰელმუსი.
- v ბანი, მერი, ენრიკა კრისტოფერი, ქლოე პოლუტნიკ-სმიტი, ჯონ მაკკოი, როზი ჰანევი, მაიქლ კინგი, ბ. ჰედი ელისი, ემა კარდელი და სტევან უეინი. „ძალადობრივი ექსტრემისტული გარემოდან დაბრუნებული ქალებისა და ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია: მოკლე მიმოხილვა პროგრამისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნებისთვის“. ტერორიზმი და პოლიტიკური ძალადობა, (2023 წ.), გვ. 1-33.
- vi დოქტორი, ოსტინ ს.; ინგრემ, ჰარორო ჯ.; მარგოლინ, დევორა; მაინს, ენდრიუ; ვიდინო, ლორენცო; „სახელმწიფო ანტიტერორისტული ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და განათლების ცენტრი“; და პროგრამა ექსტრემიზმის შესახებ, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ოჯახების რეინტეგრაცია: აშშ-თვის საუკეთესო პრაქტიკის ჩარჩო“, (2023 წ.). მოხსენებები, პროექტები და კვლევები. გვ. 1.
- vii ვან დერ ჰედი, ე. ჯ., და ჯ. ჯ. გინენი. „ხალიფატის შვილები: ტერორისტული ორგანიზაციიდან „ისლამური სახელმწიფო“ („დაეშ“) დაბრუნებული ახალგაზრდები და რეინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევა“. უსაფრთხოებისა და გლობალური საკითხების ჟურნალის სპეციალური გამოცემა, SGA ჟურნალი, (2017 წ.), გვ. 42-59.
- viii დოქტორი, ოსტინ ს.; ინგრემ, ჰარორო ჯ.; მარგოლინ, დევორა; მაინს, ენდრიუ; ვიდინო, ლორენცო; „სახელმწიფო ანტიტერორისტული ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და განათლების ცენტრი“; და პროგრამა ექსტრემიზმის შესახებ, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ოჯახების რეინტეგრაცია: აშშ-თვის საუკეთესო პრაქტიკის ჩარჩო“, (2023 წ.). მოხსენებები, პროექტები და კვლევები. გვ. 1.
- ix <https://reliefweb.int/report/syrian-arab-republic/save-children-calls-more-countries-follow-france-and-repatriate-women-and-children-unsafe-camps-north-east-syria>
- x <https://www.savethechildren.net/news/seven-children-repatriated-germany-north-east-syria>
- xi <https://www.euronews.com/2022/11/01/netherlands-to-repatriate-12-women-and-28-children-from-islamic-state-camps-in-syria>
- xii <https://www.state.gov/u-s-welcomes-norways-repatriation-of-nationals-from-northeast-syria/>
- xiii <https://www.state.gov/u-s-welcomes-spains-repatriation-of-nationals-from-northeast-syria/>
